განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე

**წევრები:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი:**

ვერიკო ჭიღლაძე

მაია ხურცილავა

ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

**დაწესებულების სახელწოდება:** ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
**ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:** არასამთავრობო არაკომერციული იურიდიული პირი
**საიდენტიფიკაციო კოდი:** [redacted]

**სახე:**

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/უნივერსიტეტი

**ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):**

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- [x] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

  - [x] გმიური
  - [ ] აგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: 1. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 2. [signature] 3. [signature]

### III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| საექთნო განათლება | 60 | 12 | 0 |
| ბუღალტრული აღრიცხვა | 60 | 17 | 0 |
| სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი | 30 | 14 | 0 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 აგვისტოს N 768170(ცვლილება- MES 4 21 0001144682 ბრძანების(26/10/2021) ) საფუძველზე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ა“,“გ“,“დ“ „ე“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ბუღალტრული აღრიცხვისა" და "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის" ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით (გეგმიური მონიტორინგი)

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 18, 19, 20 აგვისტოს შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური). (ქეთევან ჯანელიძემ და ვერიკო ჭიღლაძემ) ინსტიტუციური სტანდარტების შემოწმება განახორციელეს 2021 წლის 18 და 19 აგვისტოს, ხოლო პროგრამული სტანდარტის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და დარგის ექსპერტების (ქეთევან ღვანიძის და მაია ხურცოლავას) მიერ განხორციელდა 2021 წლის 20 აგვისტოს. დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა სრული შემადგენლობის მიერ 2021 წლის 20 აგვისტოს.

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით.

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შედეგად ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოაგზავნა წერილი(01-16/66 18 ნოემბერი 2021წ), რომელსაც ახლავს ერთგვერდიანი დანართი, სადაც მოცემულია ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ხუთი აქტივობის შესრულების შესახებ. ეს აქტივობებია: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ანალიზი და ცვლილებების განხორციელება; შინაგანაწესის ანალიზი და ცვლილებების განხორციელება; შრომითი ხელშეკრულებების ანალიზი და ცვლილება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციის შესაბამისობა 192/ნ ბრძანებასთან; საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

ექსპერტთა ჯგუფმა არ შეცვალა დასკვნის პროექტში ასახული გარემოებები. აღსანიშნავია, რომ ცენტრში გამოგზავნილი წერილი არ წარმოადგენს მასში ასახული აქტივობების შესრულების სრულყოფილ მტკიცებულებას, რადგან არ ახლავს ცვლილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცების ბრძანებები. წერილის თანახმად ხსენებული დოკუმენტები განთავსებულია საიტზე www.tbeli.ge. თუმცა, არ არის მითითებული საიტზე დოკუმენტის განთავსების მისამართი(ლინკი), რაც ქმნის საშიშროებას, რომ სწორად ვერ იქნება იდენტიფიცირებული დოკუმენტი.

მიუხედავად ზემოთხსენებული გარემოებისა ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა წერილში აღნიშნულ რიგ დოკუმენტებს და გამოავლინა შემდეგი:

საიტზე განთავსებული დაწესებულების „შინაგანაწესი“ (https://tbeli.ge/files/10.%20Tbelis%20%20Shinaganawesi.pdf) არის 2018 წლის 3 სექტემბრის № 01-03/10 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი. წერილში წარმოდგენილი ცვლილების რეკვიზიტები არ ჩანს.

წერილის თანახმად 14 ნოემბრიდან 17 ნოემბრის შუალედში დაწესებულებამ განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა 192/ნ ბრძანებასთან. წერილში არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოხდა ცვლილებების განხორციელება. იქიდან გამომდინარე, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი დაფიქსირდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ სადაც კვალიფიკაციად მითითებული იყო „მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში“(2.1.1.8. ინდიკატორი), ლოგიკურად ჩავთვალეთ, რომ ცვლილება უნდა განხორციელებულიყო ამ ნაწილში. თუმცა, დაწესებულების საიტზე წარმოდგენილია პროგრამა „აღმზრდელი“(https://tbeli.ge/ge/profesiuli/programebi/skolamdeli-saganmanatleblo-datsesebulebis-aghmzrdeli), რომლის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში“ ხოლო დამტკიცების რეკვიზიტები იგივეა, რაც ვიზიტამდე დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პროგრამისა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“(დამტკიცებულია საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით № 02-01/07 05.10.2019).
ვინაიდან, ხარვეზი დაფიქსირებული იყო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელთან“ დაკავშირებით, ხოლო საიტზე დევს ინფორმაცია პროგრამაზე „აღმზრდელი“, ვერ დგინდება 2.1.1.8. ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორების ფაქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას წერილში მითითებული აქვს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი განთავსებულია ვებ-გვერდზე. კატალოგი იძებნება მისამართზე https://tbeli.ge/ge/profesiuli/programebis-katalogi აღნიშნული კატალოგი მოიცავს ინფორმაციას სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი პროგრამის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ შესახებ ინფორმაცია კატალოგში ასახული არ არის.

## V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **1) უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარება** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 1.1) პსდ-ს მისია | | შეესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | | შეესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | | არ შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | | შეესაბამება |
| **4) ადამიანური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | | არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | | შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | | არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 5.3) ფინანსური რესურსები | | არ შეესაბამება |

შენიშვნა:

ექსპერტთა შეფასებით:
პირველი სტანდარტი შესაბამისია;
მესამე სტანდარტი შეუსაბამოა, რადგან 3.1 კომპონენტი შეფასდა შეუსაბამოდ;
მეოთხე სტანდარტი შეუსაბამოა, რადგან 4.1 კომპონენტი შეფასდა შეუსაბამოდ;
მეხუთე სტანდარტი შეუსაბამოა, რადგან 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შეფასდა შეუსაბამოდ.

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები არ დაფიქსირებულა.

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

1. **რეკომენდაცია:** სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დამატებით გამოყოს მინიმუმ ერთი პირი. (1.6.)

**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტს ხარისხის სამსახური შედგება ხარისხის სამსახურის უფროსისა და ხარისხის სამსახურის სპეციალისტისაგან. ხარისხის სამსახურის სპეციალისტი უშუალოდ ორიენტირებულია პროფესული განათლების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. რეკომენდაცია:** სასურველია ვებ-გვერდზე პროფესიული განათლების კუთხით უფრო მეტი ინფორმაციის (მაგ. დაწესებულების პერსონალი, პროფესიული განათლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, პარტნიორი ორგანიზაციები, პროფესიული სტუდენტების აქტივობები, მათი მხარდაჭერის ღონისძიებები და სხვ.) განთავსება. (2.8)
**რეკომენდაცია შესრულებულია.** კერძოდ: უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთვსებულია ინფორმაცია დაწესებულების სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; საიტზე განთავსებულია მარეგულირებელი წესები/დებულებები, სტრატეგიურლი და სამოქმედო გეგმები, მათი შესრულების ანგარიშები; სიახლეები; გალერეა; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა.

**3. რეკომენდაცია:** სასურველია პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები განთავსდეს დაწესებულების ვებ გვერდზე.
**რეკომენდაცია შესრულებულია:** საიტზე განთავსებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები( http://tbeli.ge/ge/profesiuli/angarishebi):

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში – 1 ნაწილი. 2021 წელი
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში;
- ასევე განთვსებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წლიური ანგარიშები (2016-2018 წწ)

**4. რეკომენდაცია:** სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მასწავლებელთა სახლის მიერ შემუშავებული ტრენინგ მოდულებით გადასამზადებლად მიმართოს მასწავლებელთა სახლს. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვის და განხორციელების პროცესებში იქნებიან ჩართულები, ითანამშრომლონ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან (პროფესიული მიმართულებით). (3.2.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**რეკომენდაცია შესრულებულია:** უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად ესწრებიან ხარისხის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. გარკვეული მასწავლებლები ერთვებიან განათლების ხარისხის განვითრების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, ან ხარისხის სამსახური აცნობს შემდეგ მათ ახალ მიდგომებს, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

3.1.1.1 ინდიკატორი:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რიგი პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და გარანტიებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.(იხ. ინდიკატორის აღწერა)

4.1.1.1 ინდიკატორი:

- დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული;
- თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით დადგენილი შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა- შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა.(იხ. ინდიკატორის აღწერა)

4.1.1.2 ინდიკატორი

დაწესებულების შინაგანაწესი სრულად არ არის შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან. მაგალითად: არ არის განსაზღვრული შესვენების დრო. თანამშრომელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში კი (რომელიც ადმნისტრაციის ყველა თანამშრომლისათვის სტანდარტულია) შესვენება განისაზღვრება 15:00 სთ-დან 15:30 სთ-მდე. ანუ ნახევარი საათით. შინაგანაწესის თანახმად უნივერსიტეტში სამუშაო დღე იწყება 10:00 საათზე და სრულდება 17:00 საათზე. კანონმდებლობის თანახმად თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 საათია, შესვენების დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად დასვენების დღეებია: საუფლო სადღესასწაულო დღეები, ასევე კვირა დღე. დასვენების დღეებად არ მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი უქმე დღეები. კანონმდებლობით(შრომის კოდექსით) დასაქმებულის მიერ სახელმწიფოს მიერ დადგენილ უქმე დღეებში სამუშაოს შესრულება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა და მისი ანაზღაურების პირობები ნათელი უნდა იყოს დასაქმებულისათვის. ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება საერთოდ არ არის ნახსენები არც შინაგანაწესში, არც დასაქმებულთან დადებულ ხელშეკრულებაში.

თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების რიგი არსებითი პირობები. მაგალითად: შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა; შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი;

4.1.1.3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. **მაგალითად:**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში(მუხლი 1.მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია) ვკითხულობთ: „კალენდარულ გეგმას და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს განმახორციელებელი პირი, რომელსაც განიხილავს და ვალიდურობის შემთხვევაში ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი."
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასევე აღნიშნულია, რომ „თუ პროფესიული სტუდენტი ვერ გამოცხადდა შედეგის დადასტურებაზე, მას უფლება აქვს მიმართოს ,,უნივერსიტეტი"-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება.

აღნიშნული ჩანაწერი კონფლიქტში მოდის ვერიფიკაციის მექანიზმთან. შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას ხარისხის სამსახური მონიტორინგს უკეთებს შეფასების სრულ პროცესს. შესაბამისად, შედეგების დადასტურების პროცესში ხარისხის ჩართულობა ქმნის ინტერესთა კონფლიქტს. დაუშვებელია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და ვერიფიკაცია მოახდინოს ერთი და იმავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურამ/ პირმა.

ინტერესთა კონფლიქტი იკვეთება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აღწერილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა ფუნქციაშიც: მაგალითად:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას - სასწავლო/გამოცდის ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების დაცვით.

4.1.2.1 ინდიკატორი

დაწესებულების შინაგანაწესი სრულად არ არის შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან. მაგალითად: არ არის განსაზღვრული შესვენების დრო. თანამშრომელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში კი (რომელიც ადმნისტრაციის ყველა თანამშრომლისათვის სტანდარტულია) შესვენება განისაზღვრება 15:00 სთ-დან 15:30 სთ-მდე. ანუ ნახევარი საათით. შინაგანაწესის თანახმად უნივერსიტეტში სამუშაო დღე იწყება 10:00 საათზე და სრულდება 17:00 საათზე. კანონმდებლობის თანახმად თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 საათია, შესვენების დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი.

უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად დასვენების დღეებია: საუფლო სადღესასწაულო დღეები, ასევე კვირა დღე. დასვენების დღეებად არ მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი უქმე დღეები. კანონმდებლობით(შრომის კოდექსით) დასაქმებულის მიერ სახელმწიფოს მიერ დადგენილ უქმე დღეებში სამუშაოს შესრულება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა და მისი ანაზღაურების პირობები ნათელი უნდა იყოს დასაქმებულისათვის. ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება საერთოდ არ არის ნახსენები არც შინაგანაწესში, არც დასაქმებულთან დადებულ ხელშეკრულებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების რიგი არსებითი პირობები. მაგალითად: შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა; შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი;

5.1.1.1. ინდიკატორი

დაწესებულების საქმიანობა არ არის უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.კერძოდ:დაწესებულება თხოვების ხელშეკრულებით ფლობს ქონებას მდებარე შუახევში სოფელი ტაკიძეები, ხიჭაური( საკადასტრო კოდი 24.07.03.385). ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 24 ივლისს 10 წლის ვადით. დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 2019 წლის 23 აგვისტოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს #29 გადაწყვეტილებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება კი 2020 წლის 07 თებერვალს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მეათე გადაწყვეტილებით. შესაბამისად, შენობის ფლობა დასტურდება მხოლოდ 2022 წლამდე , რაც ავტორიზაციის ვადაზე ნაკლებია.

5.1.1.2. ინდიკატორი

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები არ არის ხელმისაწვდომი შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის. პირველ და მეორე სართულებზე ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებულია ხის ასაკეცი პანდუსი, თუმცა, აღნიშნული პანდუსი ვერ ფარავს სრულად კიბის მონაკვეთს(რამდენიმე საფეხურით მოკლეა) , ხოლო მესამე სართულზე ასასვლელ კიბეზე საერთოდ არ არის პანდუსი.

5.1.1.4. ინდიკატორი

შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით.

5.1.1.5. ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში არ მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, დაწესებულებას არ წარმოუდგენია შრომის უსაფრთხოების დებულება. დაწესებულებას არ წარმოუდგენია სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში გატარებული პრევენციული ღონიძიებების, დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარების მტკიცებულებები.

5.1.1.8. ინდიკატორი

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილ შენობაში არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. ამასთან, კიბეების არასრულად ადაპტირების გამო შეუძლებელია სველ წერტილთან მისვლა.

5.1.2.1. ინდიკატორი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2019 წლის 5 თებერვალს შეამოწმა სასწავლო უნივერსიტეტი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და შეადგინა შესაბამისი შეფასების აქტი, რომლის თანახმად საევაკუაციო გასასვლელის რაოდენობა და მდგომარეობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს; არ არის წესრიგში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება და ონკანები; არ არის დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლის და ევაკუაციის მართვის სისტემა; საევაკუაციო გეგმები არ არის სტანდარტის შესაბამისი, არ არის სათანადო რაოდენობის ცეცხლმაქრები; უნივერსიტეტის ელექტრომეურნეობის მდგომარეობა არ შეესაბამება მოთხოვნებს.

5.1.2.3. ინდიკატორი

დაწესებულებას არა აქვს შემუშვებული და კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, კანონმდებლობასთან შესაბამისი საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა. დაწესებულებას არა აქვს განსაზღვრული საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, მათი ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები, არა აქვს ჩატარებული ხანძრსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟები.

5.2.1.3. ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დაწესებულებამ არ წარმოადგინა არანაირი მტკიცებულება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. არც რეგულაციაში არ არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებაში(პერსონალის და სტუდენდების)რაიმე მექანიზმი.

5.2.2.2. ინდიკატორი

სასწავლო უნივერსიტეტი არ იყენებს ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემას.

5.2.2.4. ინდიკატორი

დაწესებულება დროულად არ აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. მაგალითად: დაწესებულებამ დადგენილ ვადაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არ წარუდგინა თვითშეფასების ანგარიში.

5.2.3.4. ინდიკატორი

დაწესებულებამ არ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

5.2.3.5. ინდიკატორი

დაწესებულებას არ წარმოუდგენია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. შესაბამისად, ვერ დადგინდა ხდება თუ არა კატალოგის განახლება ყოველწიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

5.3.1.1.ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ არ წარმოადგინა ბიუჯეტი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

5.3.1.2. ინდიკატორი

საოპერაციო ხარჯები არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსით.

5.3.1.3.ინდიკატორი

დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების დოკუმენტი ან ფინანსური ანგარიში/ანალიზი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

5.3.1.4.ინდიკატორი

დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების კვლევის მასალები, ან შეფასების შედეგებზე რეაგირების რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

2.1.1.2. ინდიკატორი

უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“და „ბუღალტრული აღრიცხვა“ „ ჩარიცხვის პროცედურები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან.

2.1.1.8. ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ნ ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება ბრძანება N58/ნ 20/05/2020 და "აღმზრდელის" ჩარჩო დოკუმენტში მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა - "უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში". ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის #541866 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი" კვალიფიკაციად განისაზღვრა „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში". დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებები არ არის განხორციელებული და კვალიფიკაციად განსაზღვრულია „მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში". უნდა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან.

2.2.1.7. ინდიკატორი

დაწესებულებას არც ვიზიტის დროს, არც ვიზიტამდე გამოგზავნილ დოკუმენტებში არ მოუწოდებია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი" და „ბუღალტრული აღრიცხვა" ბიუჯეტი. ვერ დადგინდა არის თუ არა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა,

შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.3 ინდიკატორი:

სამოქმედო გეგმაში დაცული იქნას ერთიანი მიდგომა, ყველა განსაზღვრულ ამოცანას მიეთითოს შემსრულებელი პირები.

3.2.1.2. ინდიკატორი:

დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, ასევე, განსაზღვროს კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პერ(ებ)ის ფუნქციები ამ საკითხთან დაკავშირებით.

3.2.1.3. ინდიკატორი:

დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს უნივერსიტეტში დამკვიდრებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, ადმინისტრაციული წარმოების ვადები.

3.2.1.4. ინდიკატორი:

სასურველია სტუდენტური აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში.

3.2.2.3. ინდიკატორი:

დაწესებულებამ დოკუმენტურად შეიმუშავოს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია, სადაც ასახავს იმ აქტივობებს რასაც რეალურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

3.2.2.4.ინდიკატორი:

პროცესის ყოველთვის დადებითი შეფასება შესაძლოა არ გამორიცხავდეს კითხვარების რელევანტურობის საკითხს. სასურველია დაწესებულებამ გადახედოს იმ კითხვარებს, რომლებსაც იყენებს აღნიშნული კვლევისას.

4.1.1.1.ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები მოექცეს გარკვეულ სისტემაში, არ ხდებოდეს სხვადასხვა დასახელების დოკუმენტში იდენტური შინაარსის ინფორმაციისა და რეგულაციების დუბლირება. მაგალითად: რექტორის ფუნქცია-მოვალეობები იდენტური ტექსტით გვხვდება სამ სხვადასხვა დოკუმენტში. ესენია: „მართვის ორგანოების უფლება-მოვალეობები, ფუნქციები და არჩევის პროცედურები“(დამტკ. 2019 წლის 26 დეკემბრის №01-03/45 ბრძანებით); „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა“(დამტკ. 2021 წლის 25 ივნისი #01-03/05 ბრძანებით); „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება“ (დამტკ.2019 წლის 25 დეკემბერი №01-03/41 ბრძანებით).

4.1.2.2. ინდიკატორი
დაწესებულებამ გაწეროს, თუ რა დოკუმენტაციას უნდა მოიცავდეს თანამშრომლის პირადი საქმის შემადგენლობა.

4.1.2.3.ინდიკატორი
რეკომენდირებულია დაწესებულებამ დააზუსტოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უმაღლესი განათლების გარდა მოთხოვნებში, რიგი შემთხვევებისათვის/პოზიციებისათვის, დაუშვას პროფესიული განათლებაც. ასევე, სასურველია, მოდულების განმახორციელებელი პირების მიმართ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში აისახოს მოდულის შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნაც.

4.2.1.2 ინდიკატორი
უნივერისტეტმა მოახდინოს განხორციელებული აქტივობების დოკუმენტირება.(მაგალითად: გადაიღოს ტრენინგის/შეხვედრის ამსახველი ვიდეო/ფოტომასალა, შექმნას შეხვედრის ჩანაწერები, ხელმოწერის ფურცლები, შეხვედრის ოქმები და სხვა)ეს მიდგომა განავრცოს სხვა ტიპის აქტივობებზეც.

4.2.1.4. ინდიკატორი
გაიწეროს: ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის მექანიზმები, ასევე პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა კვლევის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.3. ინდიკატორი

დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მაგალითად დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავები წესი და განსაზღვროს დასუფთვების პერიოდულობა.

5.2.2.1. ინდიკატორი

რეკომენდირებულია საქმისწარმოების ინსტრუქციაში გაიწეროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა.

2.2.1.6.ინდიკატორი

დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტში გაითვალისწინოს საჭიროების შემთხვევაში სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობაც (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად)

2.4.2.3 ინდიკატორი

დაწესებულებამ მარეგულირებელი დოკუმენტები მოიყვანოს თანხვედრაში ერთმანეთთან.(იხ. ინდიკატორის აღწერა)

## XI. სტანდარტების შეფასება

1. **უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარება**

**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

**1.1.1** პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **წარმოდგენილი მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კერძოდ:** დაწესებულებას 2019 წლის 26 დეკემბრის № 01-03/44 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მისია, რომლის თანახმად უნივერსიტეტის პრიორიტეტია ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას, ქვეყნის მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრირებას, რისთვისაც **ქმნის** თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამის გარემოს, სადაც შესაძლებელია შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ასაკის შეუზღუდავად, პროფესიის დაუფლება, შეცვლა და კვალიფიკაციის ამაღლება და **სთავაზობს** მაღალი ხარისხის საგანმანათებლო პროგრამებს.

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი),** მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან;

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.** კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტი სამომავლოდ თავის თავს ხედავს, რეგიონში სტაბილური განვითარების მქონე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის წარმატებაზე ორიენტირებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებად, რომელიც ცდილობს დაიკავოს წამყვანი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია. სასწავლო უნივერსიტეტი მოწოდებულია – ეროვნული თვითშეგნების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საწყისებზე, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონის და ქვეყნის განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ამის დასტურად** ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესების ამსახველი დოკუმენტაცია: შეხვედრის ოქმი, პრეზენტაცია, დასწრების ფურცლები. კითხვარები და კითხვარების შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულებაში მისიის შემუშავებაში ჩართული იყვნენ სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება რამდენიმე ეტაპად მოხდა. ჩატარდა შუალედური შეხვედრა მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის გაზიარების მიზნით. ასევე დაწესებულებამ მისიის, ხედვის და ღირებულებების შესახებ ჩაატარა გამოკითხვები. საჯარო შეხვედრაზე გაუზიარა სტუდენტებს. მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია უნივერსიტეტის საიტზე. ვიზიტის პირველ და მეორე დღეს დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი (tbeli.ge ) ხელმისაწვდომი არ იყო, რაზეც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განგვიცხადა, რომ მიმდინარეობდა საიტის რეკონსტრუქცია. ვიზიტის მესამე დღეს საიტი ჩაირთო.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2019 წლის 26 დეკემბრის № 01-03/44 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებებით;
- მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტაციით(დასწრების ფურცლები. პრეზენტაცია,კითხვარები და შედეგების ანალიზი, მისიის გაზიარების შეხვედრის ოქმი);
- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების ვირტუალურ სივრცეში ხელმისაწვდომი მისია, ხედვა და ღირებულებებით (http://tbeli.ge/files/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%95%E1%83%90%20%E2%80%93%202021.pdf);
- www.tbeli.ge
- დაინტერესებულ მხარეებთან, პროცესში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად ჩატარებული გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო უნივერსიტეტში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.** კერძოდ: დაწესებულების ცხრა წლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2018 წლის 29 დეკემბერის № 01-03/27 ბრძანებით, ხოლო ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა (პროფესიულისთვის) 2020 წლის 29 დეკემბრის № 01-03/11 ბრძანებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის 12 აგვისტოს № 01-03/19 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია", რომელშიც აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, თუ როგორ ხდება სტრატეგიული დაგეგმვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინიცირება, სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება, სამოქმედო გეგმის შედგენა, გეგმების შესრულების მონიტორინგი, ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების მომზადება. ინტერვიუს დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გეგმების შესრულების შუალედური მონიტორიგი განხორციელდა აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად, ხოლო წარმოდგენილი გეგმების დამტკიცებისას სასწავლო უნივერსიტეტი სარგებლობდა ძველი რეგულაციით.

**2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.** კერძოდ: უნივერსიტეტს 2021 წლის 12 აგვისტოს № 01-03/19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის თანახმად სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს. ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუზე განაცხადეს, რომ გეგმის შემუშავებას წინ უძღვის მოკვლევა როგორც დაწესებულების შიგნით არსებულ სამსახურებსა და განყოფილებებში, ასევე რეგიონის მასშტაბით დაინტერესებულ პირებთან(მუნიციპალიტეტთან, ბიზნესის წარმომადგენლებთან, სკოლებთან და სხვა). ეწყობა შეხვედრები, სადაც ხდება პრიორიტეტების გამოკვეთა და სტრატეგიული მიზნების დასახვა. ხარისხის მართვის სპეციალისტი უწევს კოორდინაციას შემუშავების პროცესს, აჯამებს ინფორმაციას და საბოლოო ფორმით აცნობს დაინტერესებულ მხარეებს. შემუშავების პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა მიმართულების კითხვარები.

ინტერვიუს დროს დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, რომ იცნობენ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, რომელთა შემუშავებას წინ უძღოდა რიგი შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ რეგიონის მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლები, რაიონის ცნობადი სახეები, ინტელიგენცია, რომლებთან ერთად მოხდა რიგი საკითხების განხილვა, ასევე ჩართული იყვნენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და სტუდენტებიც. ვიზიტის დროს აღნიშნულ საკითხზე ასევე გავესაუბრეთ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს მათი ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში. აღნიშნული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულებას არ წარმოუდგენია. თუმცა, წარმოადგინა 2021 წლის 9 მარტს ჩატარებული კრების ოქმი № 02-05-15/4, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული გეგმების პროექტი, რომელიც მოწონებულ იქნა ავტორიზაციაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ და გადაეცა უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

**3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს(ადამიანურ რესურსს).**

უნივერსიტეტის დებულების თანახმად სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი; სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს მისიასთან თავსებად ხუთ მიზანს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ინფორმაციას პასუხისმგებელი პირების და რისკების შესახებ. სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან; სტრატეგიული ამოცანები ემსახურება სტრატეგიულ მიზნების მიღწევას. შესრულების ინდიკატორები ზომავს სტრატეგიული ამოცანების მიღწევას.

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტატეგიული გეგმიდან და განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. სამოქმედო გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს განსახორციელებელი აქტივობები და მითითებული ადამიანურ რესურსი, თუმცა სამოქმედო გეგმაში რიგ აქტივობებზე შემსრულებელი პირები მითითებული არაა. მაგ:ბუღალტერის გადამზადება, იურისტის გადამზადება, თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზება და გაფართოება პროფესიული განათლების ყველა პროგრამისათვის, ტრენინგების ორგანიზება.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** სამოქმედო გეგმაში დაცული იქნას ერთიანი მიდგომა, ყველა განსაზღვრულ ამოცანას მიეთითოს შემსრულებელი პირები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2021 წლის 12 აგვისტოს № 01-03/19 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა) იპ საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით;

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 29 დეკემბერი № 01-03/27 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმით;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2020 წლის 29 დეკემბერი № 01-03/11 ბრძანებით დამტკიცებული 2021 წლის სამოქმედო გეგმით;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის № 01-03/25 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესით;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციაზე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმით № 02-05-15/4 (9 მარტი 2021 წ. )სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის თაობაზე;
- დაინტერესებულ მხარეებთან,განხორციელებულ პროცესებთან გასაუბრებით, აღნიშნულ პროცესებში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად.

**1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. კერძოდ:** დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი"(დამტკიცებული 2018 წლის 28 დეკემბრის № 01-03/25 ბრძანებით) რომელშიც გაწერილია მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრის ოქმები, გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშები. სასწავლო უნივერსიტეტი ბრძანებით განსაზღვრავს მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც დაკომპლექტებულია დაწესებულების აკადემიური პერსონალისაგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლისაგან, პროფესიული სტუდენტებისგან. მონიტორინგის ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი, ან მისი წარმომადგენელი. მონიტორინგის ჯგუფი წელიწადში ორჯერ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ, ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. აღნიშნული ანგარიშები განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**2.დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.** კერძოდ: ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი სისტემატიურად ატარებს საინფორმაციო, საანგარიშო შეხვედრებს ადმინისტრაციის წარმომადგენლების, ფაკულტეტის დეკანების, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და სტუდენტების ჩართულობით, სადაც ხდება მიმდინარე საკითხების შეჯერება, გეგმებთან შესაბამისობის დადგენა, სამომავლო გეგმების დასახვა, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება შემდგომი აქტივობები. გასაუბრების შედეგებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწესებულება რეაგირებს შეფასების შედეგებზე. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი „ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში" და პროფესიული სწავლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა(2021 წელი) რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს და განმავითარებელ აქტივობებს.

3. **სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.** ამის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს 2021 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი აპრილის პერიოდს. ასევე წარმოადგინა ანგარიშის წარდგენის შეხვედრის ოქმი. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, კერძოდ ატვირთულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის #02–01/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით – 1 ნაწილი. 2021 წელი
- ანგარიშის გაცნობის სხდომის ოქმით;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფის შექმნა- ბრძანებით №01-03/19
- წლიური სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პროცესის ამსახველი მტკიცებულებებით
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდით www.tbeli.ge;
- http://tbeli.ge/ge/profesiuli/angarishebi
- „ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში“ და პროფესიული სწავლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმით(2021 წელი)
- გასაუბრებით ადმინისტრაციის სამსახურის წარმომადგენელთან და ხარისხის მართვის სპეციალისტთან, საჯაროობაზე პასუხისმგებელ პირებთან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათი მხრიდან უკუკავშირის უზრუნველყოფის გადასამოწმებლად,რეაგირების ფაქტების გადასამოწმებლად. წლიური ანგარიშების ხელმისაწვდომობის თაობაზე

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით არ არის უზრუნველყოფილი კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ **2021 წლის 16 აგვისტოს № 01-03/**20 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია, თუ როგორ ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, განმეორებითი შეფასება, გასაჩივრება, პროგრამის ცვლილების შემთხვევაში სწავლის დასრულება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სარგებლობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო რესურსითა თუ სივრცეებით, სტუდენტური ორგანიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფუძნება ან/და მასში გაერთიანება და სხვა).

აღნიშნული წესის ანალიზისას გამოიკვეთა რიგი უზუსტობები. **მაგალითად:**

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 2 -ის მე-4 პუნქტის ჩანაწერების თანახმად: „თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის შეცვლის დროისთვის დარჩენილი კრედიტების მოცულობა აღემატება 30 კრედიტს, დაწესებულება ვალდებულია დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს ის სასწავლო კომპონენტი/მოდული, რომლის შესწავლაც დაწყებულია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანოს პროფესიული სტუდენტი მოდიფიცირებულ/შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ინდივიდუალური გეგმით გააგრძელებინოს სწავლა", აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება პროფესიული განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც ,, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით".

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 6 -ის მე-1 პუნქტის ჩანაწერების თანახმად: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრილი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი, სტუდენტის სტატუსის შეჩერების ერთ ერთი საფუძველია: კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადაში საჭირო კრედიტების აუთვისებლობა, გაუგებარია როგორ განახორციელებს დაწესებულება სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის შეჩერების საფუძველის აღმოფხვრას თუ მის აღდგენას არ განახორციელებს და არ შეუმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

**ხარვეზი:** სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რიგი პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და გარანტიებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.** კერძოდ: პროფესიულ სტუდენტი უნივერსიტეტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იცნობს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს და შინაგანაწესს. დაწესებულებას ჰყავს სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულებით". აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდებას, აცნობს მათ უფლებებს და ხელს უწყობს მათი კანონიერი ინტერესების დაცვას.
ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და სტუდენტური სერვისების მენეჯერთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სწავლის დასაწყისში იმართება ღია კარის დღე, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე დგინდება, რომ დაწესებულება გონივრულ ვადებში ახორციელებს რეგულაციებში შეტანილი ცვლილებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას.

სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ისინი იცნობენ თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.** კერძოდ: სტუდენტის შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი გაწერილია უნივერისტეტის „წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში"(მუხლი 17. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა). აღნიშნულ წესს სტუდენტები ეცნობიან ხელშეკრულების დადებამდე და განმეორებით სწავლის დაწყებისას ღია კარის დღეზე. სწავლის პროცესში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათთვის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირები არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები და დეკანი. პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ ისინი იცნობენ შეფასების და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს , რომ მათ ამ დრომდე არ დაჭირვებიათ შედეგების გასაჩივრების მექანიზმით სარგებლობა.

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.** კერძოდ: უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის დადებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის მექანიზმებს, არასრულწლოვანის შემთხვევაში დაწესებულება ხელშეკრულებას აფორმებს მის კანონიერ წარმომადგენელთან.

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.** კერძოდ: აღნიშნული მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2019 წლის 01 აგვისტოს № 01-03/32 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“( მუხლი 15. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა). დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადებს, რომ ამ ეტაპამდე არ წარმოშობილა ინდ. გეგმის შედგენის საჭიროება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, მიერ 2019 წლის 01 აგვისტოს № 01-03/32 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 3 სექტემბრის № 01-03/10 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ავტორიზაციაზე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმით №02-05-15/3, დღის წესრიგი: სტუდენტებისათვის სამართლებლივ აქტებში შეტანილი ცვლილების გაცნობა
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტური სერვისების მენეჯერთან და სტუდენტებთან.
- ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2019 წლის 25 იანვრის №01-03/06 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით („განახლებული ვერსია დამტკიცებულია" 2021 წლის 30 ივნისი №01-03/15 ბრძანებით )"საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები"
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი შიდა მხარდაჭერის კითხვართი პროფესიული სტუდენტისათვის;
- უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშებით;
- გაცნობითი/საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის მტკიცებულებებით;
- სტუდენტების კითხვარებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად .** კერძოდ: დაწესებულების თითოეულ პროფესიულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს დაწესებულებისგან შესაბამისი კონსულტაცია და მხარდაჭერა სალექციო ცხრილებთან, სასწავლო პროცესის ვადებთან, პრაქტიკის კომპონენტთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. სტუდენტები მიმართავენ ფაკულტეტის დეკანებს. ასევე დაწესებულებას ჰყავს სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური, რომელიც მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულების შესაბამისად. დებულებაში გაწერილია სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, სტუდენტური პროექტების განხორციელების, მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობისა და მომსახურების მექანიზმები.

პროფესიულ სტუდენტებს ასევე შეუძლიათ კონსულტაციები მიიღონ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისგან. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას განაცხადეს, რომ: „პროფესიული მასწავლებლის უშუალო მოვალეობაა სტუდენტის აკადემიური შესაძლებლობების გაუმჯობესება. განმავითარებელი შეფასების ფორმა ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ეს მოიცავს სტუდენტებთან დიალოგს, მათი შესაძლებლობების განვითარების მიზნით. „ვისწავლოთ როგორ უნდა ვისწავლოთ" – ამგვარი მოდგომა წარმოადგენს არსებით მხარეს პროფესიული სტუდენტის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად."
სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტების კმაყოფილების კვლევას, რისთვისაც იყენებს როგორც წინასწარ შემუშავებულ კითხვარებს, ასევე სატელეფონო გამოკითხვის ფორმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ისინი იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. **დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. კერძოდ: სტუდენტთა** ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი მოდულის განმხორციელებელ პროფესიულ პედაგოგთან ერთად. ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ ადაპტაციის ერთ-ერთი მექანიზმი არის სწავლის დასაწყისში გამართული ღია კარის კვირეული. პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადაპტაციის სერვისებს აფასებენ დადებითად.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები , ასევე განსაზღვროს კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პერ(ებ)ის ფუნქციები ამ საკითხთან დაკავშირებით.

3. **დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.** კერძოდ: პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სასწავლო პროცესიდან დროებით გათავისუფლებასთან, მობილობასთან, ცნობის მოთხოვნასთან, სტატუსის შეჩერება/აღდგენასთან დაკავშირებით. ისარგებლოს კონსულტაციით ან დაწეროს განცხადება რექტორის სახელზე, რასაც ეძლევა შესაბამისი მსვლელობა. დაწესებულებაში სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე უშუალოდ პასუხისმგებლები არიან ფაკულტეტის დეკანები და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური.

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მოთხოვნილი მხარდაჭერის მიზნებიდან გამომდინარე და პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადმინისტრაციულ სერვისებს აფასებენ დადებითად. მათ განაცხადეს რომ აქვთ ინტენსიური კომუნიკაცია აღნიშნულ სამსახურებთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომ კონსულტაციის მიღება შესაძლებელია სატელეფონო თუ ინტერნეტ კომუნიკაციითაც და ამ მხრივ არავითარი პრობლემა ან შეფერხება არ შექმნიათ. პროფესიული სტუდენტები მხარდაჭერის სერვისებს აფასებენ დადებითად. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანსა და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის წარმომდგენელთან. მათ განაცხადეს, რომ ხდება პროფესიული სტუდენტებისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და კონსულტაციის გონივრულ ვადაში გაწევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს უნივერსიტეტში დამკვიდრებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოების ვადები.

4. **დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.** კერძოდ: სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა რეგულირდება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულებით(მუხლი 2. სტუდენტური ინიციატივები და პროექტები) და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების მიღების წესით“. უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტებისაგან დაკომპლექტებული სპორტული გუნდები(კალათბურთი, ჩოგურთი), რომლებიც ვარჯიშობენ დაწესებულების ტერიტორიაზე და რაიონულ ცენტრში(ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს დაწესებულება). აღნიშნული გუნდები მონაწილეობას იღებენ რეგიონის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ადმინისტრაცია ძალიან კეთილგანწყობილია, აქვთ მეგობრული და თანამშრომლობითი ურთიერთობა.დაწესებულება ყოველთვის მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს და აქტივობებს.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** სასურველია სტუდენტური აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში.

5. **პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.** კერძოდ:აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაწესებულება ატარებს მიზნობრივ კვლევებს კითხვარებისა და პირისპირ ინტერვიუს გამოყენებით. ასევე აწყობს შეხვედრებს ფოკუს-ჯგუფებთან პირისპირ, ან ონლაინ რეჟიმში. ამისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მიზნობრივი კითხვარები.

თვალსაჩინოებისათვის დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტების მიერ შევსებული მატერიალური რესურსების, საბიბლიოთეკო რესურსების, მოდულების განხორციელების კვლევისათვის განკუთვნილი კითხვარები და შედეგების ანალიზები. აღნიშნული შედეგების გათვალისწინებით ხარისხის სამსახური შეიმუშავებს განმავითარებელ რეკომენდაციებს, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების გეგმა.

ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულება ყოველთვის რეგირებს პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირზე და ცდილობს გააუმჯობესოს მათი მომსახურეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2021 წლის 01მარტის №01-03/03 ბრძანებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულებით
- სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების მიღების წესით
- გასაუბრებით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან პროფესიულ სტუდენტებთან არსებული და მიღებული სერვისების რელევანტურობის თაობაზე;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარებით;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით
- ხარისხის სამსახურის რეკომენდაციები და დასკვნები სერვისების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;
- კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული ხარისხის განვითარების გეგმით.

**3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.**

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის. კერძოდ:** დაწესებულებაში სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას უწევს სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეხვედრის ოქმებით დგინდება, რომ დაწესებულება პერიოდულად, სტუდენტთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული მხარდაჭერის მიზნით, უზრუნველყოფს მათ შეხვედრას დამსაქმებლებთან. პროფესიული სტუდენტებისათვის დაწესებულება აწყობს საინფორმაციო-სამოტივაციო შეხვედრებს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად წარმატებულ ადამიანებთან. რაც შეეხება პოტენციურ სტუდენტებს, დაწესებულების განმარტებით სისტემატურად ტარდება პროფორიენტაციის შეხვედრები სკოლებში, დაინტერესებული პირებისათვის ხდება ინფორმაციის მიწოდება ღია კარის დღეების საშუალებით. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ისინი მიღებულ კარიერულ სერვისებს აფასებენ დადებითად.

2. **დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.** კერძოდ: პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი მუდმივად ახორციელებს კომუნიკაციას პოტენციურ დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. დაწესებულებას უკავშირდებიან სხვადასხვა დაინტერესებული ბიზნეს სუბიექტები, რათა იპოვნონ სასურველი კადრი ორგანიზაციაში არსებული ვაკანსიისათვის. სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურსა და სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას მუდმივი კავშირი აქვს რეგიონში არსებულ პოტენციურ დამსაქმებლებთან. მათგან ღებულობენ ინფორმაციას არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, რასაც პირადად, სატელეფონო ან/და სოციალური ქსელების საშუალებით აწვდიან სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომლებიც მიღებულ კარიერულ სერვისებს აფასებენ დადებითად.

3. **დაწესებულება პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;** როგორც ინტერვიუს დროს გახდა ცნობილი დაწესებულება ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევას კითხვარების გამოყენებით. სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევისათვის იყენებს სატელეფონო ინტერვიუს ფორმასაც.დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევის შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და კვლევის მაჩვენებლები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ამ მექანიზმს სისტემატიურად იყენებს, თუმცა კვლევის მეთოდოლოგია დოკუმენტურად გაწერილი არ აქვს.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** დაწესებულებამ დოკუმენტურად შეიმუშავოს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია, სადაც ასახავს იმ აქტივობებს რასაც რეალურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

4. **კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.** ინტერვიუს დრო ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კარიერული მომსახურების კვლევის შედეგების ანალიზის თანახმად, ჯერ უკმაყოფილო გამოხმაურება არ ყოფილა და შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით არც ცვლილებები არ განუხორციელებიათ.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** პროცესის ყოველთვის დადებითი შეფასება შესაძლოა არ გამორიცხავდეს კითხვარების რელევანტურობის საკითხს. სასურველია დაწესებულებამ გადახედოს იმ კითხვარებს, რომლებსაც იყენებს აღნიშნული კვლევისას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისა და აუდიტის კომპანია „პროგრესის“ ხელმძღვანელის შეხვედრის ოქმი;
- პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მასალები;
- რეგულაცია კარიერულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით;
- პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების  და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან მიღებული მხარდაჭერით კმაყოფილების თაობაზე,კვლევის ჩატარების ფაქტთან დაკავშირებით

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდ არაა განსაზღვრული.** კერძოდ:

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა ასახულია რექტორის მიერ დამტკიცებულ რამდენიმე დოკუმენტში. ესენია:

✓ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნვერსიტეტის სტრუქტურა (დამტკიცებული უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის № 01-03/21 ბრძანებით);

✓ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები(დამტკ. 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით);

✓ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება“ (დამტკ.2019 წლის 25 დეკემბერი №01-03/41 ბრძანებით) ;

✓ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა“(დამტკ. 2021 წლის 25 ივნისი #01-03/05 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო აღწერილობებიც გაწერილია რამდენიმე დოკუმენტში. ესენია :

- ✓ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება“;
- ✓ „ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
- ✓ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.

სამსახურების და თანამშრომელთა რიგი ფუნქციები დამატებით გაწერილია ცალკეული სამსახურების დებულებებშიც( მაგ:“ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება“;“ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის
დებულება“ და სხვა).

ხსენებული დოკუმენტები შინაარსობრივად ხშირად იმეორებს ერთმანეთს (მცირედი განსხვავებებით) და არის ზოგადი. კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის/ პოზიციის სამუშაო აღწერილობის, მათი ფუნქცია-მოვალეობების მთლიანი სურათის დასანახად საჭირო ხდება რამდენიმე დოკუმენტის შეჯერება. მაგალითად: ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები გზამკვლევის მიხედვით გაწერილია უნივერსიტეტის დებულებაში, თუმცა დოკუმენტში ჩანაწერი ძალიან ზოგადია და ნათქვამია, რომ ადმინისტრაციის მუშაობის წესი და პირობები განისაზღვრება ცალკე დებულებით (მსგავსი დოკუმენტი დაწესებულებას არ წარმოუდგენია). ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები შედარებით მკაფიოდ არის მოცემული მართვის ორგანოების უფლება-მოვალეობების, ფუნქციებისა და არჩევის პროცედურების დოკუმენტში მუხლი 3. ამ დოკუმენტის არსებობა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების გზამკვლევში საერთოდ არ ფიქსირდება.

ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ ვერ დგინდება თანამდებობრივი ერთეულის ზუსტი ფუნქცია-მოვალეობები. მაგალითად ვერ დგინდება ბუღალტერის უფლება-მოვალეობები(ბუღალტერი საერთოდ არაა წარმოდგენილი სტრუქტურაში), რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელია სამოქმედო გეგმის რიგ ამოცანებსა და აქტივობებზე. ბუღალტერთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება, თუმცა, არც ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული მისი უფლება-მოვალეობები.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ რეგულაციებში არ გვხვდება პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები.(მასწავლებლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია მხოლოდ მათთან დადებული ხელშეკრულებით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები წარმოდგენილი იყო დაუმტკიცებელი სახით.)
დაწესებულებაში ასევე არ არის განსაზღვრული დაცვის თანამშრომლის, დამლაგებლის ფუნქცია-მოვალეობები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის ასახული კონკრეტული პოზიციის შესაბამისი შრომითი ვალდებულებები.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** სასურველია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები მოექცეს გარკვეულ სისტემაში, არ ხდებოდეს სხვადასხვა დასახელების დოკუმენტში იდენტური შინაარსის ინფორმაციისა და რეგულაციების დუბლირება. მაგალითად: რექტორის ფუნქცია-მოვალეობები იდენტური ტექსტით გვხვდება სამ სხვადასხვა დოკუმენტში. ესენია: „მართვის ორგანოების უფლება-მოვალეობები, ფუნქციები და არჩევის პროცედურები"(დამტკ. 2019 წლის 26 დეკემბრის №01-03/45 ბრძანებით); „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა"(დამტკ. 2021 წლის 25 ივნისი #01-03/05 ბრძანებით); „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება" (დამტკ.2019 წლის 25 დეკემბერი №01-03/41 ბრძანებით).

**ხარვეზი:**

- დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული;
- თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით

გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა- შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ვერ უზრუნველყოფს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

დაწესებულებაში არ არის დამტკიცებული საშტატო განრიგი. საშტატო განრიგის შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციები. ზოგიერთ შემთხვევაში არ დგინდება სტრუქტურით გათვალისწინებული სამსახურები/ განყოფილებები თავის თავში რა საშტატო ერთეულებს მოიცავს. სამუშაო აღწერილობებიც უმეტესად სამსახურის/განყოფილების ფუნქციებს უფრო ასახავს, ვიდრე კონკრეტულად რომელიმე თანამდებობრივი პოზიციისას. მაგალითად: რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულებაში" არ არის დაკონკრეტებული თუ რამდენ თანამდებობრივ ერთეულს მოიცავს და ვინ მართავს განყოფილებას, როგორ არის განაწილებული ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში მოცემულ მიზნებზე, ამოცანებსა და აქტივობებზე რიგ შემთხვევაში პასუხსიმგებელი პირები არ არის განსაზღვრული ან განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულის/ პოზიციის სამუშაო აღწერილობაში არ იკვეთება მსგავსი ფუნქცია მოვალეობები.

მაგალითად: სამოქმედო გეგმის მესამე სტრატეგიულ მიზანზე ადამიანური რესურსების განვითარება, რომლის ამოცანებია: ადმინისტრაციული რესურსის შესაძლებლოებების გაძლიერება; პროგრამის განმახორციელებლ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; პრაქტიკის ობიექტების ინსტრუქტორების შესაძლებლობების გაძლიერება სწავლისა და შეფასების მეთოდებში, დოკუმენტის მიხედვით შემსრულებელი არ არის გაწერილი და შეუძლებელია კონკრეტული სტრუქტურისა თუ თანამდებობისთვის პასუხსიმგებლობის დადგენა.

ასევე, ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ამოცანის „საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება" აქტივობებზე : შეფასების ინსტრუმენტის პროექტში საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა და საბოლოო სახით ჩამოყალიბება; შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე პროფესიულ მასწავლებელთა დახმარება/ტრენინგი, ერთ-ერთ შემსრულებლად მითითებულია იურიდიული სამსახური. აღნიშნული ფუნქცია იურიდიული სამსახურის დებულებაში არ არის გაწერილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ხარვეზი:** სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ვერ უზრუნველყოფს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

**3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/ პირების ფუნქციები გვხვდება შემდეგ დოკუმენტებში:

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით (დამტკ. 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით);
- ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (,,დამტკიცებულია'' ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ ბრძანება: N01-03/08. 28.06.2021 წ.)
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია („დამტკიცებულია“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2021 წლის 25 მარტი №01-03/03ა ბრძანებით)
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი („დამტკიცებულია“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2021 წლის 16 აგვისტო № 01-03/20 ბრძანებით)
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონის მიერ 2019 წლის 26 დეკემბრის №01-03/45 ბრძანებით დამტკიცებული მართვის ორგანოების უფლება-მოვალეობები, ფუნქციები და არჩევის პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ხარვეზი:** დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. **მაგალითად:**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში(მუხლი 1.მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია) ვკითხულობთ: „კალენდარულ გეგმას და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს განმახორციელებელი პირი, რომელსაც განიხილავს და ვალიდურობის შემთხვევაში ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი."
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასევე აღნიშნულია, რომ „თუ პროფესიული სტუდენტი ვერ გამოცხადდა შედეგის დადასტურებაზე, მას უფლება აქვს მიმართოს ,,უნივერსიტეტი"-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება.

აღნიშნული ჩანაწერი კონფლიქტში მოდის ვერიფიკაციის მექანიზმთან. შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას ხარისხის სამსახური მონიტორინგს უკეთებს შეფასების სრულ პროცესს. შესაბამისად, შედეგების დადასტურების პროცესში ხარისხის ჩართულობა ქმნის ინტერესთა კონფლიქტს. დაუშვებელია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და ვერიფიკაცია მოახდინოს ერთი და იმავე სტრუქტურამ/ პირმა.

ინტერესთა კონფლიქტი იკვეთება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აღწერილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა ფუნქციაშიც: მაგალითად:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას - სასწავლო/გამოცდის ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების დაცვით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სამოქმედო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნვერსიტეტის სტრუქტურით (დამტკიცებული უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის № 01-03/21 ბრძანებით);
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები(დამტკ. 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით);
- „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით“ (დამტკ.2019 წლის 25 დეკემბერი №01-03/41 ბრძანებით) ;
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკით“(დამტკ. 2021 წლის 25 ივნისი #01-03/05 ბრძანებით);
- 
- “ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით“;
- “ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულებით“ ;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი („დამტკიცებულია“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2021 წლის 16 აგვისტო № 01-03/20 ბრძანებით)
- ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტებით/ინფორმაციით აქტივობების შესახებ.

**4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად.**

დაწესებულებაში დამტკიცებულია რექტორის მიერ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა“ და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი”. ასევე დამტკიცებულია დაწესებულების შინაგანაწესი. სადაც გაწერილია თანამშრომელთა სამსახურში აყვანის, შრომითი ხელშეკრულების გაფორმების, გათავისუფლების, შვებულებით სარგებლობის, დისციპლინური წახალისებისა და პასუხისმგებლობების ზომები. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://tbeli.ge/ge/universiteti/personalis-martva) დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემები, სამუშაოზე აღრიცხვის ფორმები. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე შეიმუშავებს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით პერსონალის მართვის პოლიტიკას, ახორციელებს მათი მუშაობის მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს,

**ხარვეზი:** დაწესებულების შინაგანაწესი სრულად არ არის შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან. მაგალითად: არ არის განსაზღვრული შესვენების დრო. თანამშრომელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში კი (რომელიც ადმინისტრაციის ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლისათვის სტანდარტულია) შესვენება განისაზღვრება 15:00 სთ-დან 15:30 სთ-მდე. ანუ ნახევარი საათით. შინაგანაწესის თანახმად უნივერსიტეტში სამუშაო დღე იწყება 10:00 საათზე და სრულდება 17:00 საათზე. კანონმდებლობის თანახმად თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 საათია, შესვენების დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი.

უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად დასვენების დღეებია: საუფლო სადღესასწაულო დღეები, ასევე კვირა დღე. დასვენების დღეებად არ მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი უქმე დღეები. კანონმდებლობით(შრომის კოდექსით) დასაქმებულის მიერ სახელმწიფოს მიერ დადგენილ უქმე დღეებში სამუშაოს შესრულება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა და მისი ანაზღაურების პირობები ნათელი უნდა იყოს დასაქმებულისათვის. ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება საერთოდ არ არის ნახსენები არც შინაგანაწესში, არც დასაქმებულთან დადებულ ხელშეკრულებაში.

თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების რიგი არსებითი პირობები. მაგალითად: შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა; შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი;

2. **დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ:** უნივერსიტეტში დამტკიცებულია „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა"(დამტკ. 2021 წლის 25 ივნისი #01-03/05 ბრძანებით), რომელშიც გაწერილია მოთხოვნები კანდიდატებისადმი; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევისა/დანიშვნის მექანიზმები(ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დანიშვნა ხდება უნივერსიტეტში კონკურსის წესით, ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.) დანიშვნით თანამდებობაზე პერსონალის შერჩევა ხდება შიდა კონკურსის წესით, რომლის მიზანია უნივერსიტეტის თანამშრომელთა კარიერული ზრდის უზრუნველყოფა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. უნივერსიტეტი, ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, პირველ რიგში, კანდიდატურებს არჩევს შიდა რესურსიდან, მათ შორის შესაძლებელია კურსდამთავრებულებიდანაც. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პერსონალისა და სტუდენტთა მონაცემების შესწავლის საფუძველზე ამზადებს წინადადებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ და წარუდგენს რექტორს; რექტორი განიხილავს კანდიდატურებს და გასაუბრების შემთხვევაში გამოვლენილი დადებითი შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დანიშვნის თაობაზე. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის პროცედურები გაწერილია „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“. აღნიშნული წესის თანახმად კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი შეირჩევა უნივერსიტეტში დასაქმების თაობაზე შემოსული განცხადებების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს მისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილ დოკუმენტებს შემდგომში განიხილავს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად. შემუშავებული რეკომენდაციები გადაეცემა უნივერსიტეტის რექტორს ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლად კონკრეტული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ან/და განმახორციელებელი პირის/პირების რეკომენდაციის საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე პიროვნება.
ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სამუშაოზე მიღების პრაქტიკა შეესაბამება დადგენილ რეგულაციებს.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** უნივერსიტეტმა გაწეროს, თუ რა დოკუმენტაციას უნდა მოიცავდეს თანამშრომლის პირადი საქმის შემადგენლობა.

**3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. კერძოდ:** უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის შემუშავებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ უმაღლესი განათლების დადასტურების მოთხოვნით. ვიზიტის დროს გამოთხოვილ იქნა ადმინისტრაციის თანამშრომელთა პირადი საქმეები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელთა ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ გაწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** რეკომენდირებულია დაწესებულებამ დააზუსტოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უმაღლესი განათლების გარდა მოთხოვნებში, რიგი შემთხვევებისათვის/პოზიციებისათვის, დაუშვას პროფესიული განათლებაც. ასევე, სასურველია, მოდულების განმახორციელებელი პირების მიმართ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში აისახოს მოდულის შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნაც.

**4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კერძოდ:**

ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს ითვალიწინებს. გუნდური მუშაობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით იკრიბება ადმინისტრაცია და მმართველობითი ორგანოები და ერთობლივად წყვეტენ საკითხს. ყველა თანამშრომელი ინფორმირებულია უნივერსიტეტში მიმდინარე საკითხებისა და პრობლემების შესახებ. დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგი გუნდური პრინციპით ხორციელდება. რექტორის ბრძანებით იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი; ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატის შერჩევისას დგება კომისია და სხვა. ყოველივე ზემოაღნიშნული მიმართულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის განვითარებაზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- უნივერსიტეტის სტრუქტურით
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით.
- უნივერსიტეტის დებულებით;
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა“
- „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი”;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვის სქემები;
- ინტერვიუს შედეგები
- „აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი"
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- დასაქმებულთა შრომითი ხელშეკრულებები ;
- სამუშაოზე აღრიცხვის ფორმები;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმე ;
- ტრენინგების შესახებ  ინფორმაციის დოკუმენტი;
- პერსონალის ინფორმირების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. კერძოდ:**

უნივერსიტეტში შემუშავებულია „აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი" რომელშიც გაწერილია, თუ რა არის შეფასების მიზანი, როგორ უნდა მოხდეს პედაგოგიური საქმიანობის შეფასება; პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება; პერსონალის სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასება; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას შედგენილი ფორმების შესაბამისად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მასწავლებელთა შეფასების ინსტრუქცია. ხარისხის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მას აქვს მუდმივი კომუნიკაცია ადმინისტრაციასა და აკადემიური პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კითხვარები, რის საშუალებითაც ახდენს პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას. პერსონალის განვითარების საჭიროების კვლევის ჩატარების პროცედურები, თანამშრომელთა საქმიანობის და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი ხდება დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. დაწესებულება ახდენს მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რის შედეგებსაც იყენებს პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის. აწარმოებს განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკას. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელი პირის კითხვარი, და ხარისხის სამოქმედო გეგმა სადაც ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია პროფესიული განვითრებისათვის საჭირო აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.** კერძოდ:2021 წლის 10 აგვისტოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ № 02–01/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სწავლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა" სადაც ერთ-ერთი ამოცანაა „პერსონალის პროფესიული განვითარება – ტრენინგები შიდა რესურსით აქტივობები" რაც გულისხმობს:
ტრენინგების ორგანიზებას თემებზე: ა) სწავლა-სწავლების მეთოდები, ბ) დისტანციური სწავლების ტექნიკური მხარდაჭერა; პროფესიული სწავლების მტკიცებულებების გზამკვლევის გაცნობა, ასევე ვერიფიკაციის პროცესის და შესაბამისი გეგმის გაცნობა. როგორც ინტერვიუს დროს ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, კვალიფიკაციის პერსონალის კვლევისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ხარისხის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეადგენს განვითარების გეგმას. ინტერვიუს დროს პერსონალმა განაცხადა, რომ მათ სისტემატიურად უტარდებათ განმავითარებელი ტრენინგები, თუმცა, აღნიშნული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ადაწესებულებას არ წარმოუდგენია.

**განმავითარებელი რეკომენდაცია**: უნივერსიტეტმა მოახდინოს განხორციელებული აქტივობების დოკუმენტირება.(მაგალითად: გადაიღოს ტრენინგის/შეხვედრის ამსახველი ვიდეო/ფოტომასალა, შექმნას შეხვედრის ჩანაწერები, ხელმოწერის ფურცლები, შეხვედრის ოქმები და სხვა)ეს მიდგომა განავრცოს სხვა ტიპის აქტივობებზეც.

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ:** უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების განვითარების ღონისძიებები წლიური სამოქმედო გეგმის ნაწილს წარმოადგენს. რექტორის მიერ დამტკიცებულ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის" დოკუმენტში ერთ-ერთ ძირითად მიზნად გაცხადებულია თანამშრომელთა მუდმივი განვითარება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. როგორც ინტერვიუს დროს პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება ტრენინგები პროფესიული განვითარებისათვის. ასევე თანამშრომლები ესწრებიან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს თუ შეხვედრებს. უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმაშიც გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებლ პირთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის ტრენინგების ჩატარება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ დაწესებულება ხშირად ატარებს განმავითარებელ ტრენინგებს. განმავითარებელი და საინფორმაციო ტრენინგები უტარდებათ ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც.

უნივერსიტეტში ხორციელდება თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და შესაბამისი წახალისების ფორმების გამოყენება.უნივერსიტეტს შიგანაწესში გაწერილი აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმი, სამსახურეობრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა;

გ) ფასიანი საჩუქრის მიცემა.

შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

4. **პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. კერძოდ:** სისტემატურად ეწყობა გაცნობითი და განმავითარებელი შეხვედრები, რაც უზრუნველყოფს როგორც არსებული თანამშრომლების განვითარებას, ისე ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას და ჩართვას სამუშაო პროცესში. ახალი თანამშრომლისთვის სამუშაო ინსტრუქტაჟს ახორციელებს ადმინისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე და უშუალოდ იმ სამსახურის უფროსი სადაც მიღებულია ახალი თნამშრომელი. დაწესებულებას დოკუმენტურად გაწერილი არ ააქვს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმები.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** გაიწეროს დოკუმენტურად ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის მექანიზმები, ასევე პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა კვლევის მექანიზმები.

**5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ:** დაწესებულებას შიგანაწესში გაწერილი აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმი, გაწერილია წახალისების ფორმები და სხვა, არსებული ბიუჯეტის და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. ხარისხიანად შესრულებული სამუშაოსთვის, დაწესებულების განვითარებისკენ მიმართული ინიციატივების გამოჩენისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ხდება პერსონალის წახალისება სხვადასხვა ფორმით. მაგ. პრემია, ფასიანი საჩუქარი და სხვ. ინტერვიუს დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების თანამშრომლებმა განაცხადეს რომ დაწესებულება ყოველთვის ახდენს მათი ინიციატივების მხარდაჭერას, მათ არა აქვთ კომუნიკაციის პრობლემა და ინიციატივები ყოველთვის წახალისებულია.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისპერსონალის მართვის პოლიტიკით“
- „მართვის ორგანოების უფლება-მოვალეობები, ფუნქციები და არჩევის პროცედურებით“
- ხარისხის უზრუნველყოფის წესით;
- უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით
- ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტით;
- პროგრამის განმახორციელებელი პირის  კითხვარით;
- სამოქმედო გეგმით;
- ხარისხის სამოქმედო გეგმით;
- გასაუბრებით პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ,ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.დაწესებულების საქმიანობა არ არის უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება თხოვების ხელშეკრულებით ფლობს ქონებას მდებარე შუახევში სოფელი ტაკიძეები, ხიჭაური( საკადასტრო კოდი 24.07.03.385). ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 24 ივლისს 10 წლის ვადით. დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 2019 წლის 23 აგვისტოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს #29 გადაწყვეტილებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება კი 2020 წლის 07 თებერვალს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მეათე გადაწყვეტილებით. შესაბამისად, შენობის ფლობა დასტურდება მხოლოდ 2022 წლამდე , რაც ავტორიზაციის ვადაზე ნაკლებია.

ამჟამად უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილ შენობას აქვს:

- ფოიე, სადაც შესაძლებელია შენობაში მყოფი ადამიანების თავშეყრა სასწავლო აუდიტორიებში ან სხვა სივრცეებში მათ გადანაწილებამდე;
- თეორიული სწავლების აუდიტორიები;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;
- პრაქტიკული სწავლების აუდიტორიები;
- ადმინისტრაციული სივრცე;
- სამუშაო და მოსასვენებელი სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- სამუშო და დასასვენებელი სივრცე პროიფესიული სტუდენტებისათვის;

სპორტული მოედანი;

- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები;
- ბიბლიოთეკა;
- სამედიცინო კაბინეტი;
- საკონფერენციო დარბაზი;
- სივრცე არქივისთვის;
- სასადილო სივრცე;
- ასევე გამოყოფილია ინდივიდუალური სველი წერტილები როგორც ქალებისთვის ისე მამაკაცებისათვის.

დაწესებულება **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ავტორიზაციის ვადით უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით,** რაც დასტურდება მატერიალური,სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციით(ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება ქონების/რესურსების ბალანსზე არსებობა, შესყიდვის აქტები და სხვა.).სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორიცაა სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი, სათავსოები. ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებაში მოწყობილია კომპიუტერული კლასები, რომლებიც უზრუნველყოფილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. პროფესიულ სტუდენტებს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული სივრცით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ყველა სასწავლო რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ წიგნის გატანის სერვისით ან ადგილზე გამოიყენონ არსებული სასწავლო რესურსები. დაწესებულების ადმინისტრაციის ოთახები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, სამუშაო ინვენტარით, სათავსოებით, ქსეროქსისა და პრინტერის აპარატებით.

**ხარვეზი:** დაწესებულების საქმიანობა არ არის უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.კერძოდ:დაწესებულება თხოვების ხელშეკრულებით ფლობს ქონებას მდებარე შუახევში სოფელი ტაკიძეები, ხიჭაური( საკადასტრო კოდი 24.07.03.385). ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 24 ივლისს 10 წლის ვადით. დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 2019 წლის 23 აგვისტოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს #29 გადაწყვეტილებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება კი 2020 წლის 07 თებერვალს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მეათე გადაწყვეტილებით. შესაბამისად, შენობის ფლობა დასტურდება მხოლოდ 2022 წლამდე , რაც ავტორიზაციის ვადაზე ნაკლებია.

**2.** სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელ წესებში გაწერილია, რომ პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში კვებისა და დასვენებისთვის ისარგებლონ დაწესებულების სამზარეულოთი,ღია სპორტული მოედნებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის გამოყოფილი ფართით და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ მარეგულირებლ წესებს  და შესაბამისად მათ შეუძლიათ დადგენილი წესების ფარგლებში გამოიყენონ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი.

**ხარვეზი:** დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები არ არის ხელმისაწვდომი შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის. პირველ და მეორე სართულებზე ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებულია ხის ასაკეცი პანდუსი, თუმცა, აღნიშნული პანდუსი ვერ ფარავს სრულად კიბის მონაკვეთს(რამდენიმე საფეხურით მოკლეა) , ხოლო  მესამე სართულზე ასასვლელ კიბეზე საერთოდ არ არის პანდუსი.

**3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კერძოდ:** უნივერსიტეტს ყავს დამლაგებლები, რომლებიც რეგულარულად ახორციელებენ საგანმანათლებლო სივრცის დასუფთავებას. ვიზიტის დროს როგორც საგანმანათლებლო სივრცეში,  ისე სანიტარულ კვანძებში დაცული იყო სისუფთავე, განლაგებული იყო ხელსაბანი სითხე, საშრობი ქაღალდი და სხვა საჭირო რესურსები. დაწესებულებამ წარმოადგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით შესაბამისი მატერიალური რესურსების და მასალების შეძენის დოკუმენტაცია. ასევე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმების აქტი. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მაგალითად დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული  სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავები წესი და განსაზღვროს დასუფთვების პერიოდულობა.

**4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განკუთვნილი შენობის არც ერთი სართული არ არის აღჭურვილი ცენტრალური გათბობით.** ამჟამად  გათბობა ხორციელდება ელექტრო გამათბობლებით. როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს უნივერსიტეტის გაზიფიცირება ცოტა ხნის წინ მოხდა და იგეგმება ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება. თუმცა, რაიმე ხელშეკრულება ან პროექტი ან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ამ მიმართულებით დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ხარვეზი:** შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით.

**5.დაწესებულებაში არ მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები" , თუმცა აღნიშნული წესი სრულად ვერ ფარავს საკანონმდებლო მოთხოვნებს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.
19/02/2019 წელს მიღებული საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ დაწესებულებას ავალდებულებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის/ ინსპექტორის ყოლას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც-ერთ დოკუმენტში არ ფიქსირდება შესაბამისი პოზიციის ფუნქცია- მოვალეობები და პასუხისმგებლობები. დაწესებულებას არ წარმოუდგენია შრომის უსაფრთხოების დებულება.
არ არის შეფასებული არსებული რისკები და შესაბამისად, არ აქვს გაწერილი რისკების შემცირების/აღმოფხვრის გეგმა. მხოლოდ რამდენიმე ცეცხლმაქრია განლაგებული ერთ-ერთ შემოსასვლელთან სახანძრო უსაფრთხოების სტენდზე. დაწესებულების საევაკუაციო გასასვლელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, მესამე სართულიდან საერთოდ არ არის წვდომა საევაკუაციო გასასვლელთან. შენობაში გამოკრული საევაკუაციო გეგმები არ არის დადგენილი სტანდარტის შესაბამისი.დაწესებულებას არ წარმოუდგენია სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში გატარებული პრევენციული ღონიძიებების, დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარების მტკიცებულებები.

**ხარვეზი:** დაწესებულებაში არ მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, დაწესებულებას არ წარმოუდგენია შრომის უსაფრთხოების დებულება. დაწესებულებას არ წარმოუდგენია სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში გატარებული პრევენციული ღონიძიებების, დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. კ ე რძ ოდ :**უნივერსიტეტის რექტორის 13.02.2019 წლის №01-03/23 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა) იპ წმინდა ტბელ აბუსეროსძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სასწავლო პროგრამების სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების,სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები". აღნიშნული წესი არეგულირებს თუ როგორ უნდა მოხდეს სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენება,სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია. მოდულის განმახორციელებელ პირს მოდულის დაწყებამდე გადაეცემა საჭირო მასალა, ნედლეული, ხოლო დასრულების შემდგომ მოდულის განმახორციელებელი პირისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/ების მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება სათანადო პირობების დაცვით, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნებისათვის. სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის კონტროლი ეკისრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ხოლო პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება ფინანსურ და მატერიალურ დარგში ბუღალტერს, ფაკულეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს.

დაწესებულებამ წარმოადგინა მასალების და ნედლეულის შესყიდვის მტკიცებულებები. ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურებს რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მოდულის შესაბამისი მასალებითა და ნედლეულით.

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. კ ე რძ ოდ:** უნივერსიტეტში დამტკიცებულია „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება", რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებას და მათ განვითარებაზე ზრუნვას. კერძოდ, უნივერსიტეტის რესურსების და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენას ავტორიზაციის სტანდარტებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებთან და ჩარჩო დოკუმენტებთან. დაწესებულება ახორციელებს კითხვარების გამოყენებით საბიბლიოთეკო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების კვლევას. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელებისათვის, უნივერსიტეტში ხორციელდება მონიტორინგი. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმა(2021), რომლის ერთ-ერთი ამოცანაა აღნიშნული საკითხის მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**8.** უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო სივრცეს აქვს გამიჯნული სანიტარული კვანძები, აქვს უწყვეტი განათება. სველ წერტილებში ხდება ბუნებრივი ვენიტალაცია, მუდმივად მარაგდება წყლით, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს დროს სანიტარულ კვანძებში წესრიგის, სანიტარული ნორმების დაცვის და პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობის შესახებ უარყოფითი შეფასება არ დაფიქსირებულა.

**ხარვეზი:** დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილ შენობაში არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. ამასთან, კიბეების არასრულად ადაპტირების გამო შეუძლებელია სველ წერტილთან მისვლა.

**9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**
უნივერსიტეტის ყველა სასწავლო გარემოში, ფოიეში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. დაწესებულებამ წარმოადგინა მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაცია.

10. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. კერძოდ** უნივერსიტეტში სასწავლო, სამუშაო სივრცეები ისეა გადანაწილებული, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

**11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.კერძოდ:** უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება“ და „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ ორივე დოკუმენტი ხელმისაწვდომია დაწესებულების საიტზე (http://tbeli.ge/ge/biblioteka/bibliotekit-sargeblobis-tsesi ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

http://tbeli.ge/ge/biblioteka/bibliotekis-debuleba). დაწესებულების ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების მისამართები(http://tbeli.ge/ge/biblioteka/saertashoriso-sabiblioteko-bazebi).

სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულების“ შესაბამისად. ბიბლიოთეკა განლაგებულია უნივერსიტეტის სხვა კორპუსში, იმავე ეზოში მდგარ შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკაში შესვლისათვის რამდენიმე კიბის ავლაა საჭირო, რომელიც უზრუნველყოფილია შშმ პირებისათვის ასასვლელი პანდუსით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი სასწავლო რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ წიგნის გატანის სერვისით ან ადგილზე გამოიყენონ არსებული სასწავლო რესურსები.

დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე. იგი საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად უზრუნველყოფს წიგნების აღრიცხვას, ტექნიკურად მოწესრიგებას, ჟურნალში გატარებასა და კატალოგში დამატებას. ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

დაწესებულება სისტემატიურად ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვას საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით. პროფესიულა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დადებითად შეაფასეს ბიბლიოთეკის მომსახურება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- უძრავი ქონების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტროენერგიის, წყლისა საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „ა(ა) იპ წმინდა ტბელ აბუსეროსძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სასწავლო პროგრამების სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების,სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“
- ვიზუალური დათვალიერება;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- http://tbeli.ge/ge/biblioteka/bibliotekit-sargeblobis-tsesi ;
- http://tbeli.ge/ge/biblioteka/bibliotekis-debuleba;
- http://tbeli.ge/ge/biblioteka/saertashoriso-sabiblioteko-bazebi;
- საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება ქონების/რესურსების ბალანსზე არსებობა;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
- სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო რესურსების, მასალების შესყიდვის აქტები;
- ინვენტარიზაციის წიგნი;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, მატერიალურ რესურსების განკარგვაზე პასუხისმგებელ პირებთან დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის გადასამოწმებლად, გათბობის, ტემპერატურული რეჟიმით კმაყოფილების თაობაზე,საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობის კმაყოფილების თაობაზე.

**5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.**

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში არ არის დაცული დაცულია უსაფრთხოების ზომები. ერძოდ:**

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობების მდგრადობის შესახებ დასკვნები, რაც ადასტუდებს, რომ საგანმანათლებლო პროცესისათვის განკუთვნილი შენობები მდგრადია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის.

**ხარვეზი**: შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2019 წლის 5 თებერვალს შეამოწმა დაწესებულება სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და შეადგინა შესაბამისი შეფასების აქტი, რომლის თანახმად საევაკუაციო გასასვლელის რაოდენობა და მდგომარეობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს; არ არის წესრიგში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება და ონკანები; არ არის დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლის და ევაკუაციის მართვის სისტემა; საევაკუაციო გეგმები არ არის სტანდარტის შესაბამისი, არ არის სათანადო რაოდენობის ცეცხლმაქრები; უნივერსიტეტის ელექტრომეოურნეობის მდგომარეობა არ შეესაბამება მოთხოვნებს.

**2.დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.** კერძოდ: დაწესებულებაში რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება ექიმთან. გამოყოფილია კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით თუ რესურსით. სტუდენტები და უნივერსიტეტში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების შესახებ. ექიმი წელიწადში ერთხელ (უპირატესად სასწავლო წლის დასაწყისში) ატარებს უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საინფორმაციო–სასწავლო ინსტრუქტაჟს სტუდენტებისათვის.

3. **დაწესებულებაში არ მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი**

უნივერსიტეტში დამტკიცებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 27 დეკემბრის № 01-03/20 ბრძანებით „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები". აღნიშნული დოკუმენტი გარკვეულწილად ასახავს ხანძრის დროს გასატარებელ ღონისძიებებს.

**ხარვეზი:** დაწესებულებას არა აქვს შემუშვებული და კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, კანონმდებლობასთან შესაბამისი საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა. დაწესებულებას არა აქვს განსაზღვრული საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, მათი ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები, არა აქვს ჩატარებული ხანძრსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟები.

4.**დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.** კერძოდ: უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დაცვის თანამშრომელი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. წესრიგის დაცვისა და სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობები გაწერილია უნივერსიტეტის შინაგანაწესში. შენობა-ნაგებობის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. უნივერსიტეტის სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი ინფორმირებულია წესრიგის დაცვის მექანიზმების შესახებ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დასკვნება შენობის მდგრადობის შესახებ;
- უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულებით განკარგვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი 2019 წლის 7 თებერვალი
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით მატერიალური რესურსების და მასალების შეძენის დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან უსაფრთხოების ნაწილში კმაყოფილების შესახებ, პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაძლებლობის არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობის შესახებ,წესრიგის დაცვის ნაწილში კმაყოფილების შესახებ
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელი პირის სამუშაოს აღწერილობა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- რექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის № 01-03/20 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“
- წესრიგის დაცვის რეგულაციები;
- წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კ ე რ ძ ოდ** უნივერსიტეტის ყველა შენობა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეებში არსებულ კომპიუტერებში დაინსტალირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამები. კომპიუტერებით აღჭურვილია ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი სამუშო სივრცეები. ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი. რომლის მოწოდებაც დადასტურდება ინტერნეტ-პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით. ვიზიტის დროს შეუფერხებლად შევძელით ინტერნეტით სარგებლობა.

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

უნივერსიტეტში დამტკიცებულია „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულება“, ასევე „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის საწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების მართვის პოლიტიკა“ , ასევე „,ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებ-გვერდის ადმინისტრირების წესი“. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია თუ როგორ ხდება უნივერსიტეტში მონაცემთა დაცვა.უნივერსიტეტს გააზრებული აქვს IT რისკები და ადეკვატურად რეაგირებს ამ რისკების თავიდან აცილებაზე. დაწესებულებაში არსებობს პირი, რომელიც პასუხისმგებელია IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.ITუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს რისკების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში საპრევენციო ღონისძიებების გატარებას. ვთქვათ პროგრამების განახლებას, ანტივირუსების განახლებას, სარეზერვო ასლების შექმნა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.** დაწესებულების დებულების შესაბამისად პერსონალურ მონაცემთა დაცვას უზრუნველყოფს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ასევე კანცელარია. სადაც დაცულია თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები. დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს, უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავების/გამოყენების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას, დაიცავს ფიზიკური პირის უფლებებს და უზრუნველყოფს დამუშავების გამჭვირვალობაა. დაწესებულებას არ წარმოუდგენია თანხმობის დოკუმენტი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

**ხარვეზი:** დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დაწესებულებამ არ წარმოადგინა არანაირი მტკიცებულება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. არც რეგულაციაში არ არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებაში(პერსონალის და სტუდენტების)რაიმე მექანიზმი.

**4.პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. კერძოდ :** ინფორმაციული ტექნოლოგიების, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების საჭიროების იდენტიფიცირება ხდება უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში დანერგილი სერვისებისა და სისტემების ოპტიმიზაციის ან/და განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე. ამისათვის დაწესებულება ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვას. რის შემდეგაც ხდება იდენტიფიცირებული საჭიროების განხილვა-ანალიზი. პროცესში მონაწილეობენ სისტემის მომსახურებაში ან/და გამოყენებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. ინფორმაციულ ელექტრონულ სისტემებში ცვლილებების განხორციელება ან/და ახალი სისტემის დანერგვა სრულდება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.ახალი სისტემების დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში გათვალისწინებულია სისტემების ტექნიკური და ფუნქციური შესაძლებლობები, რათა არ მოხდეს სასწავლო, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო საქმიანობის გამართული მუშაობის შეფერხება. ინფორმაციულ სისტემებში სიახლეების ან/და ცვლილებების დანერგვამდე ხდება ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.** კერძოდ: ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს აქვს, საკუთარი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. დაწესებულების თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ნებისმიერ დროს ისარგებლონ საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების მომსახურებითა და კონსულტაციით. სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილიკომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და სტუდენტები. პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები ასევე სარგებლობენ ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებით , სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, ქსეროქსის აპარატი, სკანერი, უწყვეტი ქსელური ინტერნეტი და wifi.

**6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.** კერძოდ: დაინტერესებულ მხარეებთან და სტუდენტებთან ინფორმაციული კომუნიკაცია ხორციელდება ელ-ფოსტის საშუალებით. დაწესებულებას შექმნილი აქვს სტუდენტთა და თანამშრომელთა ელექტრონული ფოსტების ერთიანი ბაზები. ასევე კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა დახურულ ჯგუფებს სოციალურ ქსელში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;

ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან პერსონალთან ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერის კმაყოფილების თაობაზე
„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულება“;
„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის საწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების მართვის პოლიტიკა“ ;
„„ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებ-გვერდის ადმინისტრირების წესი“.
IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან შრომითი ხელშეკრულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- Facebook ჯგუფი პერსონალისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვისა და პროფესიული სტუდენტებისთვის;
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი ;

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.** კერძოდ: დამტკიცებულია უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქცია, ინსტრუქციის ძირითადი მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება და დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და მუშაობის ეფექტურობის ამაღლება. საქმისწარმოების ინსტრუქცია განსაზღრავს დოკუმენტების მოძრაობის წესს, უნივერსიტეტში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს უნივერსიტეტის არასაიდუმლო დოკუმენტებზე მუშაობის წესს, უნივერსიტეტის ბრძანებების, ოქმების, აქტების, სამსახურებრივი ბარათების, მოქალაქეთა განცხადებების, წერილებისა და შემოსული კორესპონდენციის მომზადებისა და რეგისტრაციის, ასევე ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და მემორანდუმების რეგისტრაციისა და შენახვის წესებს.

**განმავითარებელი რეკომენდაცია**: რეკომენდირებულია საქმისწარმოების ინსტრუქციაში გაიწეროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა.

2.**უნივერსიტეტი არ იყენებს ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემას.** დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის 28 ივნისით დათარიღებული ხელშეკრულების ფორმა(მხარეები: უნივერსიტეტსა და სუს სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო). აღნიშნული ხელშეკრულების საგანია ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კუთვნილი საინფორმაციო-ტექნოლოგიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფრასტრუქტურის გამოყენებით  ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) ერთი მომხმარებლისათვის შესყიდვა. თუმცა წარმოდგენილი ხელშეკრულება არ არის ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

**ხარვეზი:** სასწავლო უნივერსიტეტი არ  იყენებს ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემას.

**3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.** კ ე რ ძ ოდ: პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. ვიზიტის დროს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები  გადამოწმდა შერჩევითად და ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

**4.პსდ დროულად არ აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**
დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმად შემოსული და გასული კორესპონდენცია აღირიცხება სპეციალურ ჟურნალებში. აღნიშნული ჟურნალების დათვალიერებით დგინდება, რომ უნივერსიტეტი გარკვეულწილად თანამშრომლობს  საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. ადმინისტრაციის სამსახურის წარმოადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ერთვება სხვადასხვა შეხვედრებში, ტრენინგებში, აწვდის მათ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. თუმცა, დაწესებულებამ დადგენილ ვადაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არ წარადგინა თვითშეფასების ანგარიში. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული ფორმა.
**ხარვეზი:** დაწესებულება დროულად არ აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. მაგალითად: დაწესებულებამ დადგენილ ვადაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არ წარუდგინა თვითშეფასების ანგარიში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქმისწარმოების წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უნივერისტეტის დებულებით;
- შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალით
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით;
- უნივერსტიტეტის მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციით;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით (შერჩევითად);
- გასაუბრებით ადინისტრაციის, კანცელარიის წარმომადგენელთან, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელ პირთან მისი მუშაობის პრაქტიკის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვის თაობაზე .

**5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.**

1. პსდ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებ-გვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.** კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ვებ-გვერდი www.tbeli.ge და სოციალური ქსელის გვერდი. რომლებიც წარმოადგენენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმას . უნივერსიტეტის ვებ-გვერდის დათვალიერება განხორციელდა ვიზიტის მესამე დღეს, ვინაიდან საიტი გათიშული იყო რეკონსტრუქციის გამო. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მარეგულირებელი დოკუმენტები, ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ატვირთულია უნივერსიტეტის სტრუქტურა და სხვა. განსაზღვრულია ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მუდმივად ტვირთავს სიახლეებს, ანონსებს შესაბამის ველში. ხდება სიახლეების გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის.
უნივერსიტეტის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონში ნომრები და ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდის მისამართი) და დაწესებულების სიახლეები.

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.** დაწესებულება არ ახორციელებს უცხოენოვან პროფესიულ პროგრამებს. შესაბამისად, დაწესებულების ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსია მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.** კერძოდ: უნივერსიტეტში დამტკიცებულია „ ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება“სამსახურის სპეციალისტი მუშაობს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის კონცეფციაზე; ამზადებს პრეს-რელიზებს; საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირებს. საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს უნივერსიტეტის ვებგვერდს - www.tbeli.ge ელექტრონულ ფოსტას - tbelabuserisdze@gmail.com და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელებში (facebook (ფეისბუქი) - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი) . აღნიშნულ გვერდებზე დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი არ ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ**

უნივერსიტეტში ვიზიტის დროს მოთხოვნილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. რომელიც დაწესებულებას არ წარმოუდგენია. კატალოგი არ არის განთავსებული არც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**ხარვეზი:** დაწესებულებამ არ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

**5. პროგრამების კატალოგი არ ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.**

**ხარვეზი:** დაწესებულებას არ წარმოუდგენია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. შესაბამისად, ვერ დადგინდა ხდება თუ არა კატალოგის განახლება ყოველწიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6.**საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.** კერძოდ:,უნივერსიტეტში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების,ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის, ანალიზს წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით.საჭიროების შემთხვევაში საკითხის განხილვა ხდება ხარისხის სამსახურთან ერთად, ან გაერთიანებული ადმინისტრაციის კრებაზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „ ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით“
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდით www.tbeli.ge;
- უნივერსიტეტის Facebook გვერდით
- გასაუბრებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **ფინანსური რესურსით არ არის უზრუნველყოფილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.**

ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უნივერისტეტის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს საპატრიარქო. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულების თანამშრომლები. სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა.თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ არის მითითებული ამოცანების შესრულებისათვის ფინანსური რესურსი. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა ბიუჯეტი, რომელიც დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ხარვეზი**: დაწესებულებამ არ წარმოადგინა ბიუჯეტი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

2. **საოპერაციო ხარჯები არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსით.**

ბიუჯეტი წარმოდგენილი არ ყოფილა. არც სხვა ფინანსური დოკუმენტაცია არც სტრატეგიულ, არც სამოქმედო გეგმაში არ არის მითითებული წარმოდგენილი აქტივობების ფინანსური რესურსები; შესაბამისად, ექსპერტებისათვის არ გახდა ცნობილი არის თუ არა უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;ვიზიტის დროს ვერ დადგინდა არის თუ არა გათვალისწინებული ბიუჯეტში თანხები საოპერაციო ხარჯებისათვის; ან საოპერაციო ხარჯები იქნა დაფარული საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

ხარვეზი:**საოპერაციო ხარჯები არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსით.**

3. **დაწესებულება არ უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.**

დაწესებულებას არ წარმოუდგენია ფინანსური მდგრადობის შეფასების მეთოდოლოგია ან რაიმე გაწერილი მექანიზმი. ფინანსური მდგრადობის შეფასების დოკუმენტი ან ფინანსური ანგარიში დაწესებულებას არ წარმოუდგენია.ექსპერტებისათვის შეუძლებელია დავადგინოთ, თუ რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულების ფინანსურლი მდგრადობის შემოწმებას. ადმინისტრაციის სამსახურის თანამშრომელმა განგვიმარტა, რომ ყველა საჭიროება თანხმდება საპატრიარქოსთან, რომელიც სრულად აფინანსებს უნივერსიტეტს. მონიტორინგის მიზნით,ბრძანებით განსაზღვრავს მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც წელიწადში ორჯერ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს.

**ხარვეზი:** დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების დოკუმენტი ან ფინანსური ანგარიში/ანალიზი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.დაწესებულება სათანადოდ არ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**
ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ აკადემური საბჭო საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას, იღებს გადაწყვეტილებას გასატარებელი აქტივობების შესახებ. დაწესებულება ფინანსური შეფასების შედეგებს ითვალისწინებს სამომავლო გეგმის შემუშავებისას. თუმცა, ფინანსურ შედეგებზე რეაგირების საჭიროებების, ან მათზე რეაგირების მტკიცებულებები დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

**ხარვეზი:** დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების კვლევის მასალები, ან შეფასების შედეგებზე რეაგირების რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ**.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- გასაუბრების შედეგებით

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 ოქტომბრის # 02–01/07 გადაწყვეტილება. |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური) |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 კრედიტი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულებისმიერსტანდარტისსაბოლოოშეფასება) | (ექსპერტებისმიერსტანდარტისსაბოლოოშეფასებ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | შეესაბამება |

მეორე სტანდარტი შეუსაბამოა, რადგან 2.1 და 2.2 კომპონენტები შეფასდა შეუსაბამოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2.საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.** კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრულია„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 2019 წლის 01 აგვისტოს # 01–03/32 ბრძანებით.აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება შრომის ბაზრის – დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს ან/და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზს ან/და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზს, დასაქმების მაჩვენებლებს და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლის საფუძველზეც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი „უნივერსიტეტი“–ის რექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, სადაც დასაბუთებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საჭიროება. პროგრამის დანერგვა/ადაპტირებისათვის დაწესებულების რექტორის ბრძანებით იქმნება შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებლები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულებთან ერთად მტკიცდება ერთიანი აქტით, ხოლო მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება დაწესებულების რექტორის ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტით.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, აღნიშნული დასაბუთებით ვგებულობთ, რომ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის მომზადების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას განაპირობებს სკოლამდელი განათლების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნევა. სკოლამდელი დაწესებულების ქსელის გაფართოება, ინფრასტრუქტურის გამართვა და სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის განხორციელება მოითხოვს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებს, მათ შორის ზემო აჭარაშიც, სადაც 50–ზე მეტი მოქმედი ბაგა–ბაღია, იგეგმება დამატებით ჯგუფების გახსნა და ასევე ახალი ბაგა–ბაღების შენობების აგება.ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს ახალი კვალიფიციური კადრის საჭიროებას. აჭარის სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის უკვე დასაქმებული პირები, გამოთქვამენ სურვილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პროგრამის გავლასთან დაკავშირებით, რაც აამაღლებს მათ პროფესიულ გამოცდილებას და მისცემს მათ დასაქმების საშუალებას.

**2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2019 წლის 01 აგვისტოს № 01-03/32 ბრძანებით დამტკიცებული „ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია, თუ როგორ ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება. აღნიშნული წესის ანალიზით გამოიკვეთა, რომ დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება(მუხლი 4) ჩანაწერები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან

**ხარვეზი:** უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ:** უნივერსიტეტში რექტორის2019 წლის 28 იანვრის #01–03/08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების აღმზრდელი“ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა გათვლილია ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად. რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა ადამიანური , მატერიალური და ფინანსური რესურსის ოდენობა, საგანმანათლებლო სივრცეების გამტარუნარიანობა, დისტანციური სწავლების სპეციფიკა, პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობები, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, ბიბლიოთეკის რესურსი; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა და სხვა ფაქტორები. აღნიშნულის გათვალისწინებით ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს. ამჟამად უნივერსიტეტს პროგრამაზე ჰყავს 14 აქტიური სტუდენტი.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ:** დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას აფასებენ დადებითად.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 ოქტომბრის #02–01/07 გადაწყვეტილებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის #01–03/41 ბრძანებით (მუხლი 6, პუნქტი 6.2.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: პროგრამის** დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.
პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. სასწავლო გეგმა გაწერილია 2 სასწავლო წელზე. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**ხარვეზი:**
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ნ
ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება ბრძანება N58/ნ 20/05/2020 და "აღმზრდელის" ჩარჩო დოკუმენტში მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა - "უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში". ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის #541866 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ კვალიფიკაციად განისაზღვრა „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებები არ არის განხორციელებული და კვალიფიკაციად განსაზღვრულია „მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში”.უნდა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესით“;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 ოქტომბრის #02–01/07 გადაწყვეტილებით;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით;
- პროგრამა და მოდულებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალით;
- გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1**პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ:** სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, დაწესებულებას მოწყობილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო კაბინეტები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 15 პროფესიულ სტუდენტზე(აღნიშნულ პროგრამაზე კვოტა განსაზღვრულია 30 სტუდენტით (15-15 თითო ცვლაში) რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. აღნიშნული პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ასევე კიდევ ერთი აუდიტორია, სადაც მოწყობილია იმიტირებული ბაღის გარემო.

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა" ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება" და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება". პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ორი პარტნიორი ორგანიზაცია : ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანება და ა(ა)იპ შუახევის ბაგა–ბაღების გაერთიანება. დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობის დროს წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები (21.10.2019), დოკუმენტის თანახმად, მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის კონკრეტული ღონისძიებების ორგანიზებას მხარეები განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმების ფარგლებში, სადაც ასევე განსაზღვრული იქნება პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი და მხარეების მიერ ნაკისრი სხვა უფლება–მოვალეობები. აღნიშნული პრაქტიკის ობიექტები აკმაყოფილებენ პროგრამით განსაზღვრულ მატერიალურ რესურსებს ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით,

გასაუბრებიდან დადგინდა, რომ აღნიშნული დამატებითი შეთანხმება ჯერ არ არსებობს, ვინაიდან პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლება, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სასწავლო წლის ბოლოს. ინტერვიუს დროს პარტნიორი ორგანიზაციის(ბაგა-ბაღების გაერთიანება) წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუახევში 16 მოქმედი მუნიციპალური ბაგა – ბაღია, რომელთა ბაზაზეც პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ განიმტკიცონ თეორიული ცოდნა, უშუალოდ დაესწრონ და დააკვირდნენ ბაგა–ბაღში არსებულ სასწავლო– საღმზრდელო პროცესებს, აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივ ჯგუფში, გაეცნონ დაწესებულების შინაგანაწესს, გამოიმუშაონ პრაქტიკულ უნარ-ჩვევები. შუახევში არსებულ რამოდენიმე ბაღს უკვე აქვს პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში პროფესიულ სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება, თითოეულ მათგანს საშუალება აქვს ერთდროულად მიიღოს 10 –15 სტუდენტი.

ინტერვიუს დროს მასწავლებლების და სტუდენტების მხრიდან დადასტურდა, რომ მათ აქვთ წვდომა პროგრამის ფარგლებში საჭირო რესურსებზე.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო რესურსების ფლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, განხორციელების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს 20 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 8 ზოგადი და 12 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:** სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია დაწესებულების რექტორის 2019 წლის 07 მაისის #01–03/27 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დოკუმენტით, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ან/და მასწავლებლის სერთიფიკატი შესაბამის საგანში, სასურველია ჰქონდეს პედაგოგიური და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობისა და პროექტების მართვის გამოცდილება, საგნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა და თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა.

პროგრამას დანართის სახით ახლავს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ. მითითებული ინფორმაციის შესაბამისად ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს გადამოწმებული იქნა განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები სრულად, რომლებიც მოიცავს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული პროფესიული მასწავლებლები შერჩეული არიან სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროფესიული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად და ყველა მათგანს აქვს მოდულის შესაბამისი უმაღლესი განათლება. დაწესებულება სისტემატიურად ატარებს განმავითარებელ ტრენინგებს მასწავლებლებისთვის, ასევე ახდენს მათი კომპეტენციების შემოწმებას როგორც მათი სამსახურში მიღების დროს, ისე მუშაობის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს, გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენცია და ასევე დადგინდა, რომ ყველა მათგანს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ:** „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება პირადი საქმით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი", ხელმძღვანელს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნება არის კვალიფიციური და მას აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება დაწესებულებაში არსებული მსგავსი პროგრამის ფარგლებში.

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ,საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:** დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. შერჩევითი პრინციპით შემოწმდა საგანმანათლებლო რესურსის ფლობა ბიბლიოთეკაში. ყველა რესურსი იყო დამუშვებული და ხელმისაწვდომი.

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ:** სასწავლო უნივერსიტეტის სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის და მათი სასწავლო პროცესში ჩართვის პროცედურა განსაზღვრულია „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" (დამტკიცებული დაწესებულების რექტორის 2019 წლის 01 აგვისტოს # 01–03/32 ბრძანებით (თავი 2, მუხლი 11; თავი 3 მუხლი 17)).აღნიშნული წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში სსსმ ან/და შშმ პირზე მორგებული ინდივიდუალური გეგმის შედგენას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სსსმ ან/და შშმ პირისათვის გათვალისწინებულია დაცვის თანამშრომლის გამოყოფა კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ დახმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია–კონსულტაციის უზრუნველსაყოფად. ბიბლიოთეკის საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას. დაწესებულების განცხადებით მათ არ ჰყოლიათ შშმ პირი. დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, რომ საჭიროების შემთხვევაში მოახდენს სასწავლო რესურსების ადაპტირებას.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტში გაითვალისწინოს საჭიროების შემთხვევაში სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობაც (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ საჭიროების შესაბამისად)

7. **ფინანსური რესურსით არ არის უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

სასწავლო უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებული ბიუჯეტის ფორმა. ვიზიტის დროს მოთხოვნილ იქნა პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დაწესებულებამ არ წარმოადგინა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ექსპერტების მხრიდან ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ რამდენადაა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილი დაწესებულების ფინანსური რესურსით.

**ხარვეზი:** დაწესებულებას არც ვიზიტის დროს, არც ვიზიტამდე გამოგზავნილ დოკუმენტებში არ მოუწოდებია ბიუჯეტი. ვერ დადგინდა არის თუ არა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმით;
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- 2019 წლის 07 მაისის #01–03/27 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1**პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.** კერძოდ: უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა“ შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: უნივერსიტეტში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება; პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება; პროფესიული მასწავლებლის/მოწვეული მასწავლებლის ყოველწლიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი.

დაწესებულებას ასევე ბრძანება: N01-03/08. 28.06.2021 წ.დამტკიცებული აქვს „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პროგრამების განვითარების მიზნებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტების პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარების ფორმები. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი.
უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, აწყობს სემინარებს და ტრენინგებს. სტუდენტებმა და პროფესიულმა მასწავლებლება დაადასტურეს აღნიშნული მექანიზმის გამოყენება.

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**
**კერძოდ:** უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 ივლისი № 01-03/18 ბრძანებით დამტკიცებულია „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის თანდართული წესი“ , რომლის თანახმად, საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო ცვლილების ინიცირებით მიმართავს აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს ცვლილების შეტანის ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პირ(ებ)ს.პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს:
ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით;
ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში;
გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს;
ე) ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული მასალა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე პასუხისმგებელია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ საჭიროებისამებრ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებაზე და პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინიცირებით მიმართვაზე გამომდინარე აქიდან, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

▪ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემით;

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;

▪ ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის თანდართული წესით;

▪ კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშით;

▪ კითხვარის ფორმებით;

ხარისხის სამსახურის დასკვნებით და რეკომენდაციებით, სამოქმედო გეგმა;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.კერძოდ:** სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ინტერვიუ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება გეგმის მიხედვით.

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ:** პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან მეცადინეობათა შეჭრილი გრაფიკით. საჭიროების შემთხვევაში. დისტანციური სწავლებისას ცხრილის შედგენისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს და ცხრილის შედგენისას აქტიურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობს მათთან.დისტანციური სწავლების პირობებში ადგენს სტუდენტთათვის მოქნილ სასწავლო გეგმას. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება ყოველთვის რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სტუდენტთა მიმართვებზე და მათი გათვალისწინებით ღებულობს გადაწყვეტილებებს.

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ:** რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით/მოდულებით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან.

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ: დაწესებულებას ინდივიდუალური გეგმის შემუშავების** მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2019 წლის 01 აგვისტოს № 01-03/32 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“( მუხლი 15. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა). დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადებს, რომ ამ ეტაპამდე არ წარმოშობილა ინდ. გეგმის შედგენის საჭიროება. იმ შემთხვევაში, თუ დადგება საჭიროება დაწესებულება უზრუნველყოფს საჭიროების შესაბამისად სპეციალური მასწავლებელთა აყვანას, პერსონალის გადამზადებას. დაწესებულების სასწავლო პროცეცის მარეგულირებელ წესში ასევე გაწერილია ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი.

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ:** საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ორი პარტნიორი ორგანიზაცია : ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანება და ა(ა)იპ შუახევის ბაგა–ბაღების გაერთიანება, რომელთანაც 2019 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული აქვს მემორანდუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ:** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“;
- მემორანდუმით ა(ა)იპ შუახევის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან;
- მემორანდუმით ა(ა)იპ შუახევის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან;
- მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
- გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2**შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კერძოდ:** დაწესებულებას შემუშავებული და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციით გაწერილია შეფასებისა და გასაჩივრების წესი. აღნიშნული რეგულაცია ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის პირობები. ასევე, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს, რა ვადებში ხდება შეფასება და უწყისში ასახვა. კერძოდ, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემით გათვალისწინებულია შემდეგი: სწავლის შედეგის შეფასების მიზნით, შესაბამის შეფასების ინსტრუმეტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას. შეფასების ინსტრუმენტით შეიძლება შეფასდეს ერთი ან რამდენიმე სწავლის შედეგი. იმ მოდულების შეფასებისათვის, რომლებიც სხვა მოდულების წინაპირობებს წარმოადგენენ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ინტერვალი განმეორებითი დადასტურებისათვის.

შეფასების სისტემა განმსაზღველი შეფასების გარდა იყენებს განმავითარებელ შეფასებასაც.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით ორჯერ შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში გამოიყენოს აპელაციის უფლება.

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ:** შეფასების სისტემის გამართული მუშაობისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მექანიზმები. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 მარტის #01-03/03ა ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია" რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. რეგულაციით გაწერილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის და ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციები, ვერიფიკაციის ეტაპები და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში (საშემოდგომო მიღება) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი") ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს თავისი ფუნქციების შესრულებას; უნივერსიტეტი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით:

- ✓ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- ✓ პროცესის ვერიფიკაცია;

მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია.რაც მოიცავს ინფორმაციას ვერიფიკაციის ჯგუფის შესახებ, ვერიფიკაციის გეგმას, რისკების შეფასებას, ვერიფიკაციის დასკვნას და რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.** კერძოდ: დაწესებულების მიერ შემუშავებულია სწავლის შედეგების დადასტურების უწყისის ფორმა. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 მარტის #01-03/03ა ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „პროფესიული განათლების ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქციის „მუხლი 5 პუნქტი 14-ის თანახმად „მოდულური პროგრამების შეფასების მტკიცებულებების (სტუდენტთა ნამუშევრები) შენახვის ვადად განისაზღვროს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წელი “, უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2021 წლის 16 აგვისტო № 01-03/20 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მუხლი 16 პუნტქი 11 „მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე/პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე/მობილობით სხვა დაწესებულებაში გადასვლამდე“. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა უწყისები და მტკიცებულებები, რომლებიც აღრიცხულია და სათანადო წესით ინახება შესაბამის დეკანატში .

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელი დოკუმენტები მოიყვანოს თანხვედრაში ერთმანეთთან.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ:** შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს იყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი.
სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ ინდივიდუალურად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით;
- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ჯგუფის შექმნისა და ვერიფიკაციის ჩატარების დოკუმენტაციით
- სწავლის შედეგების დადასტურების უწყისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების ინსტრუმენტებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ბუღალტრული აღრიცხვა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“, კოდი 0411 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/07 13.08.2019 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური) |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 60 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | **99 კრედიტი** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 კრედიტი |

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | შეესაბამება |

**მეორე სტანდარტი შეუსაბამოა, რადგან 2.1 და 2.2 კომპონენტები შეფასდა შეუსაბამოდ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.** კერძოდ:პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრულია „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 2019 წლის 01 აგვისტოს # 01–03/32 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება შრომის ბაზრის – დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს ან/და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზს ან/და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზს, დასაქმების მაჩვენებლებს და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლის საფუძველზეც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, სადაც დასაბუთებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საჭიროება. პროგრამის დანერგვა/ადაპტირებისათვის დაწესებულების რექტორის ბრძანებით იქმნება შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებლები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულებთან ერთად მტკიცდება ერთიანი აქტით, ხოლო მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება დაწესებულების რექტორის ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტით.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი. აღნიშნული დასაბუთების თანახმად, უნივერსიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს ერთ-ერთ ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტრატეგიულ კუთხეს - აჭარას მოუმზადოს ბუღალტრის პროფესიის სპეციალისტები, რომლებსაც ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ეცოდინება ,,ბიზნესის ენა“ და შეძლებს დაინტერესებულ მხარეებს დროული ინფორმაცია მიაწოდოს ეკონომუკური და ფინანსური საქმიანობის წარმართვაში, რაც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან. უნივერსიტეტს მისიაში გაცხადებული აქვს, რომ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას, რისთვისაც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს, ქმნის საგანმანათლებლო გარემოს და უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.
უნივერსიტეტს შემუშვებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა, რის საფუძველზეც დგინდება, რომ დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია ,,**პროფესიული მოდულური პროგრამების პერსპექტივების კვლევა და ახალი პროგრამების დამატება“.** ვიზიტის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი ჩატარებული ბაზრის კვლევის დოკუმენტი, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის დაგეგმვის პროცესში ჩართული იყვნენ რაიონის მუნიციპალიტეტის და მოქმედი ბიზნესის წარმომადგენლები. ასევე ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ დიდი იყო ინტერესი ამ პროგრამასთან დაკავშირებით, იყო მომართვიანობა, რამაც ასევე ხელი შეუწყო ამ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვის“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2019 წლის 01 აგვისტოს № 01-03/32 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია, თუ როგორ ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება. აღნიშნული წესის ანალიზით გამოიკვეთა, რომ დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება(მუხლი 4) ჩანაწერები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან

**ხარვეზი:** უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან

**3.** პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: უნივერსიტეტში რექტორის2019 წლის 28 იანვრის #01–03/08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა გათვლილია ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად. რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაითვალისწინა ადამიანური , მატერიალური და ფინანსური რესურსის ოდენობა, საგანმანათლებლო სივრცეების გამტარუნარიანობა, დისტანციური სწავლების სპეციფიკა, პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობები, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, ბიბლიოთეკის რესურსი; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა და სხვა ფაქტორები. აღნიშნულის გათვალისწინებით ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს. ამჟამად უნივერსიტეტს პროგრამაზე ჰყავს 17 აქტიური სტუდენტი.

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ:** დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას აფასებენ დადებითად.

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.** საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდული.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 აგვისტოს № 02-01/07 გადაწყვეტილებით. +პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის2019 წლის 25 დეკემბრის #01–03/41 ბრძანებით (მუხლი 6, პუნქტი 6.2.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: პროგრამის** დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია "ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები.სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.
პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.
მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროგრამა და მოდულებით;
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო უნივერსიტეტის მისიით;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმით;

- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და

სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის  წესით“;

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალით;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 ოქტომბრის #02–01/07 გადაწყვეტილებით;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით;
- გასაუბრებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.** კერძოდ: წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 60 (ორ ცვლაში) პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი აუდიტორიების დათვალიერება, აღმოჩნდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ბუღალტრული აღრიცხვა" დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია, მათ შორის 2 აუდიტორია განკუთვნილია B გარემოსთვის, სადაც ამჟამად განთავსებულია ერთ აუდიტორიაში შესაბამისი აღჭურვილობა 7 მოქმედ პროფესიულ სტუდენტზე, მეორე აუდიტორიაში 11 პროფესიულ სტუდენტზე სტუდენტის სამუშაო მაგიდა და სკამი, 18 კომპიუტერი, 2 პროექტორი, 2 დაფა და 2 მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამი, კომპიუტერები უზრუნველყოფილია ელექტრონული ბუღალტრული პროგრამის სასწავლო ვერსიით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. აღნიშნული პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ასევე კიდევ ერთი აუდიტორია, აღჭურვილი მერხებით, სკამებით, დაფით, აღნიშნული აუდიტორია განკუთვნილია პროგრამის ფარგლებში თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის.
აღნიშნული პროგრამისათვის არ არის სავალდებულო პრაქტიკის ობიექტზე საგანმანათლებლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. დაწესებულებას ადგილზე აქვს იმიტირებული გარემო და კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისაი პროგრამით.

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს 19 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 7 ზოგადი და 12 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი.

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:** სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია დაწესებულების რექტორის 2019 წლის 07 მაისის #01–03/27 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დოკუმენტით, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ან/და მასწავლებლის სერთიფიკატი შესაბამის საგანში, სასურველია ჰქონდეს პედაგოგიური და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობისა და პროექტების მართვის გამოცდილება, საგნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა და თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ ფარგლებში პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორი პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნება არ შეესაბამება თავად სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, შემდეგ მოდულებს: ,,ეკონომიკური ანალიზი“ და ,,ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით“ უძღვებიან პირები, რომლებსაც აქვთ პროფესიული განათლება, სასწავლო უნივერსიტეტს კი აუცილებელ პირობად განსაზღვრული აქვს უმაღლესი განათლება ან/და მასწავლებლის სერტიფიკატი.

ვიზიტის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირების ინდივიდუალური სავალდებულო სააუდიტორიო დატვირთვა, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ პერსონალი, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტში ჩართულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული პროგრამების განხორციელებაში, მათი წლიური დატვირთვა ადექვატურია კანონმდებლობის მიერ დასაშვები კვირეული დატვირთვის.
ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს, გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენცია.

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ:** პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური და აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება დაწესებულებაში არსებული მსგავსი პროგრამის ფარგლებში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება, ეწევა აგრეთვე სამეცნიერო საქმიანობას შესაბამის დარგში.

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:** დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. შერჩევითი პრინციპით შემოწმდა საგანმანათლებლო რესურსის ფლობა ბიბლიოთეკაში. ყველა რესურსი იყო დამუშვებული და ხელმისაწვდომი.

**5. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ:** სასწავლო უნივერსიტეტის სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის და მათი სასწავლო პროცესში ჩართვის პროცედურა განსაზღვრულია „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დამტკიცებული დაწესებულების რექტორის 2019 წლის 01 აგვისტოს # 01–03/32 ბრძანებით (თავი 2, მუხლი 11; თავი 3 მუხლი 17)).აღნიშნული წესი ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში სსსმ ან/და შშმ პირზე მორგებული ინდივიდუალური გეგმის შედგენას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სსსმ ან/და შშმ პირისათვის გათვალისწინებულია დაცვის თანამშრომლის გამოყოფა კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ დახმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია–კონსულტაციის უზრუნველსაყოფად. ბიბლიოთეკის საჭიროების სემთხვევაში ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტში უნდა გაითვალისწინოს საჭიროების შემთხვევაში სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობაც (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად).

**7.ფინანსური რესურსით არ არის უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

სასწავლო უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებული ბიუჯეტის ფორმა. ვიზიტის დროს მოთხოვნილ იქნა პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დაწესებულებამ არ წარმოადგინა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

ექსპერტების მხრიდან ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ რამდენადაა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილი დაწესებულების ფინანსური რესურსით.

**ხარვეზი:** დაწესებულებას არც ვიზიტის დროს, არც ვიზიტამდე გამოგზავნილ დოკუმენტებში არ მოუწოდებია ბიუჯეტი. ვერ დადგინდა არის თუ არა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან
- სტუდენტებთან გასაუბრებით;
- პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმეებით;
- საგანმანათლებლო პროგრამით და მოდულებით;
- 2019 წლის 07 მაისის #01–03/27 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“;

**შეფასება:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, 1.საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.** კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა" (დამტკიცებული დაწესებულების რექტორის 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით), სადაც გაწერილია შიდა და გარე შეფასების მექნიზმები, კერძოდ, შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:უნივერსიტეტში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება; პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება; პროფესიული მასწავლებლის/მოწვეული მასწავლებლის ყოველწლიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი.

დაწესებულებას ასევე ბრძანება: N01-03/08. 28.06.2021 წ.დამტკიცებული აქვს „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება"დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარების ფორმები. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი, უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, აწყობს სემინარებს და ტრენინგებს. სტუდენტებმა და პროფესიულმა მასწავლებლება დაადასტურეს აღნიშნული მექანიზმის გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**
კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 ივლისი № 01-03/18 ბრძანებით დამტკიცებულია „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის თანდართული წესი" , რომლის თანახმად, საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო ცვლილების ინიცირებით მიმართავს აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს ცვლილების შეტანის ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პირ(ებ)ს.პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით;

ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში;

გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს;

ე) ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული მასალა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე პასუხისმგებელია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ საჭიროებისამებრ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებაზე და პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, ინიცირებით მიმართვაზე გამომდინარე აქიდან, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
- ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის თანდართული წესით;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშით;
- კითხვარის ფორმებით;
- ხარისხის სამსახურის დასკვნები და რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმით;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.** კერძოდ: სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ინტერვიუ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. მათ დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება გეგმის მიხედვით.

**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.** კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან მეცადინეობათა შეჭრილი გრაფიკით. საჭიროების შემთხვევაში. დისტანციური სწავლებისას ცხრილის შედგენისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს და ცხრილის შედგენისას აქტიურად თანამშრომლობს მათთან.დისტანციური სწავლების პირობებში ადგენს სტუდენტთათვის მოქნილ სასწავლო გეგმას. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება ყოველთვის რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სტუდენტთა მიმართვებზე და მათი გათვალისწინებით ღებულობს გადაწყვეტილებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.** კერძოდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით/მოდულებით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან. სასწავლო უნივერსიტეტი ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის შესწავლისთვის იყენებს სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ტექნოლოგიურ რესურს, კერძოდ, კომპიუტერულ ტექნიკას, ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამას, რომელიც ჩატვირთულია პრატიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში.

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.** კერძოდ: დაწესებულებას ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2019 წლის 01 აგვისტოს № 01-03/32 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“( მუხლი 15. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა). დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადებს, რომ ამ ეტაპამდე არ წარმოშობილა ინდ. გეგმის შედგენის საჭიროება. იმ შემთხვევაში, თუ დადგება საჭიროება დაწესებულება უზრუნველყოფს საჭიროების შესაბამისად სპეციალური მასწავლებელთა აყვანას, პერსონალის გადამზადებას.

დაწესებულების სასწავლო პროცეცის მარეგულირებელ წესში ასევე გაწერილია ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი.

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.** ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტის არსებობას და იძლევა საშუალებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდეს ადგილზე, შესაბამისი პროგრამით უზრუნველყოფილ B გარემოში.

**6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.** კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერვიუ პერსონალთან და სტუდენტებთან.
- პროგრამა და მოდულები;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციით გაწერილია შეფასებისა და გასაჩივრების წესი. აღნიშნული რეგულაცია ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის პირობები. ასევე, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს, რა ვადებში ხდება შეფასება და უწყისში ასახვა. კერძოდ, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემით გათვალისწინებულია შემდეგი:სწავლის შედეგის შეფასების მიზნით, შესაბამის შეფასების ინსტრუმეტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას. შეფასების ინსტრუმენტით შეიძლება შეფასდეს ერთი ან რამდენიმე სწავლის შედეგი. იმ მოდულების შეფასებისათვის, რომლებიც სხვა მოდულების წინაპირობებს წარმოადგენენ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ინტერვალი განმეორებითი დადასტურებისათვის.

შეფასების სისტემა განმსაზღველი შეფასების გარდა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებასაც.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით ორჯერ შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში გამოიყენოს აპელაციის უფლება.

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ:** შეფასების სისტემის გამართული მუშაობისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მექანიზმები. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 მარტის #01-03/03ა ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია" რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. რეგულაციით გაწერილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის და ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციები, ვერიფიკაციის ეტაპები და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში (საშემოდგომო მიღება) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი") ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს თავისი ფუნქციების შესრულებას; უნივერსიტეტი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით:

- ✓ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- ✓ პროცესის ვერიფიკაცია;

მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია, რაც მოიცავს ინფორმაციას ვერიფიკაციის ჯგუფის შესახებ, ვერიფიკაციის გეგმას, რისკების შეფასებას, ვერიფიკაციის დასკვნას და რეკომენდაციებს.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.** კერძოდ: დაწესებულების მიერ შემუშავებულია სწავლის შედეგების დადასტურების უწყისის ფორმა. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 მარტის #01-03/03ა ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „პროფესიული განათლების ვერიფიკაციის მექანიზმი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქციის „მუხლი 5 პუნქტი 14-ის თანახმად „მოდულური პროგრამების შეფასების მტკიცებულებების (სტუდენტთა ნამუშევრები) შენახვის ვადად განისაზღვროს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წელი “, უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2021 წლის 16 აგვისტო № 01-03/20 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მუხლი 16 პუნტქი 11 „მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე/პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე/მობილობით სხვა დაწესებულებაში გადასვლამდე“. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა უწყისები და მტკიცებულებები, რომლებიც აღრიცხულია და სათანადო წესით ინახება შესაბამის დეკანატში .

განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელი დოკუმენტები მოიყვანოს თანხვედრაში ერთმანეთთან.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ:** შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს იყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ ინდივიდუალურად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიით;
- შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ჯგუფის შექმნისა და ვერიფიკაციის ჩატარების დოკუმენტაციით
- სწავლის შედეგების დადასტურების უწყისით.
- შეფასების ინსტრუმენტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. ადმინისტრაციის შრომითი ხელშეკრულება

21.11.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: